ცისკარი.

1866

ოკტომბერი.

წელიწადი მეათე.

წოდება თხზულებათა:

I — ქაღალდის მოთამაშის ცხოვრება. ივ. კერესელიძისა.
II — ლექსები: 1, თ. ალ. ჭავჭავაძის ლექსებითგან.—2, ∴*
III — მასალები ქართულის ისტორიისა
IV — სხვა და სხვა ამბავი (იხილე მეორე გვერდზედ.)

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში

მოქმედება მესამე.

(სცენა წარმოადგენს შარა გზას, რომლის პირზედ გოსტინიცის ეზო არის; მარცხნივ მხარეს კედელზედ მიკრულია ვივესკა „**Гостиница Парижъ**" მარჯვნივ კარებები ასასვლელის ბანზედ. ეზოში სტოლები და სკამები დგას.)

გამოსვლა 1.

მოსამსახურეები, მოახლეები გოსტინიცისა

ზირმანის ცოლი. (გამოდის). აბა ბიჭებო, გოგო, ივანე, სადა ხართ, რას აკეთებთ? ხომ იცით ჩემი ქმარი შინ არ არის და დღეს უნდა მოვიდეს. — ცქვიტა რას უდგეხართ; გაშალეთ სუფრა სტოლზედ ზალაში; დღევანდელი დღე ისეთი არის, რომ ყველგან ხალხი მრავალი იქნება. ერთი ერთი მეეზოვეთ კარიები და[...] ტანსაცმლისათვის, — წყნარად რომ მოგზაური მოვიდა იმასაც [...] უნდა, — აბა რაღას უდგეხართ. (ზირმანი გამოჩნდება მო[...] მომავალი, წინ ცოლი და მოსამსახურეები მიეგებებიან.)

გამოსვლა 2.

ზირმან, ამისი ცოლი და მოსამსახურენი.

ზირმან. (უკან მიიძახის). ცხენს სურჯინი მოხსენით, შეიყვანეთ თავლაში და ბლომათ ქერი მიეცით.

ზირმანის ცოლი. ოჰ, აი ჩემი ქმარიც მოვიდა!

ზირმან, (ცოლს) ხომ კარგათა ხარ ჩემო სულიკო. მომეხვიე ერთი!... რა საუცხოვო ცხენი არის ჩემი ცხენი; საათში ათ ვერსს მიდის!

ბირმ. ცოლი. სხჳა. როგორ გაარიგე საქმე ქალაქში. მიეცი თუ არა არზა გოროდნიჩს.

ბირმან. როგორ არა, მივეცი კიდეც ჲ ნებაც მომცა ვივესკის დაკიდებისა; ისეთი ღერბი უნდა დავახატვინო ზედ, რომ ოქროსა-ვით ელამდეს; რამდენი მოვლენ სანახავათ ახლო მახლო სოფლები-თგან, არც ერთი მოგზაური არ გაივლის ისე, რომ აქ ღამე არ ათიოს. ჭაი თუ ფულებს მოვიგდებთ ჭაი! (ჯიბითგან იღებს სამ დაბეჭდილ წიგნებს.)

ბირმანის ცოლი. ეგ რაღა წიგნებია?

ბირმან. ეს ერთი ნების მოცემის ქაღალდია ჲ ეს ორი წიგნი, ქალაქში რომ ვიყავი ფოშტალიონმა, მამცა; ერთი შენ ძმასთან არის.

ბირმ. ცოლი. მეორე?

ბირმან. მეორე არ ვიცი ვისთან არის. ზემოდანვე აწერია სახელი ჲ გვარი ერთის აფიცრისა, რომელიცა უნდა ჩამოხდეს ჩუენს გოსტინნიცაში.

ბირმანის ცოლი. ეგ საკჳრველია. (დაჭყურებს წიგნს) სწორეთ ეგრე არის. შეინახე იმის მოსვლამდინ.

ბირმან. რასაკჳრველია უნდა შევინახო. მუშტარი; ან მგზავრნი იყვნენ ვინმე თუ არა, ჩემს აქ არ ყოფნაში?

ბირმ. ცოლი. რატომ, საკმაოთ იყვნენ; მეოთხე ნუმრის ოთახში ჩამოხტა ერთი ვიღაც მდიდარი ვაჭარი, რომელიცა მიდიოდა მგზა-ვრად, მაგრამ ამაზედ მერე მოგცემ ანგარიშებს, შენ ერთი ეს მით-ხარი, რა იცი სხჳა ახალი ამბავი?

ბირმან. ახალი ამბავი არა ვიცირა ამის მეტი, — შენ ხომ იცი ის ღარიბი ჲ ღატაკი კაცი, რომელიც ჩუენს ახლოს მ ის მირმი სცხოვრებს ჲ რომელიცა აგერ ორი წელიწადია რაც დასახლდა თა-ვისის ცოლშჳლით, ერთს დაქცეულს ჲ დანგრეულს ქოხში?

ბირ. ცოლი ჭო, როგორ არა — როგორ არ ვიცნობ ყორეს, რომელსაც მეტი სახელი დაარქვეს მთის ძაცი. მერე რაო?

ბირმან. რაო ჲ, სვალ იმას დაიჭერენ ჲ წაიყვანენ სადაც ალა-გია, ამისათჳს რომ სახელმწიფო ხარჯს რიგზედ არ იძლევა.

ბირმ. ცოლი. იქნება მართლა?

ბირმან. მთელი წელიწადი ხარჯი არ უძლევია, — გოროდნიჩის ეს

შუშტრუკია და ბრძანება არის ამქვეყნიურთვის გაუგონარ.

ბირმ. ცოლი. იმაზედ იქმნება ასიც იყოს, მაგრამ მეცოდება იმისი ცოლი და პატარა იმისი შვილი.

ბირმან. რა გაეწყობა. მაგრამ ის არათუ აქედან გასაგდები, თოკის ღირსია, რომ ჩამოახრჩონ, რაც ის მეცი აქა დგას. ჯერ არ გაივლის, რომ იმის ხაზინადარს ხასიეს არ შეხვდეს შიმით. როცა აქ მოდის ხოლმე. როგორც ჩვენ ყველა ისე ერიდება.

ბირ. ცოლი. იქნება მაინც გადარჩეს, რომ იმან მოჰკლა ის მოგზაური, რომლისაც გვამი უპოვნიათ ხოფლის ახლო ტყეში.

ბირმან. იქნება იმან არ მოკლა, მაგრამ ყველასგი ეჭვი იმაზედა აქვსთ.

ბირმ. ცოლი. ხაცოდაობაა! მერე ამ ახლო ხანში იმათის [illegible] სახლში.

ბირ. მერე რაისთვის?

ბირ. ცოლი. თითონ ის მოის მეცვიკე შინ არ იყო და, ცოლი და ქალი იმისი გნახე. ოჰ. ღმერთო, რა ღარიბები არიან! რა ღატაკები! თვალებში ცრემლებით მეხვეწა, რომ მეცოდინება. ერთი აბაზი მეუღლე ჯიბეში და ის ერთი აბაზი ვაჩუქე იმათ.

ბირმან, ძრიელ ცუდათ გიქნია.

ბირ. ცოლი, რა მექნა რომ ლუკმა პური არა ჰქონდათ და შიმშილით უნდა დახოცილიყვნენ.

ბირმან. სულ ერთია, მაინც ცუდათ გიქნია! ცუდ კაცებს შეწყობა, არასოდეს არ უნდა მისცეს კაცმა. (ალაყაფის კარებითკან ისმის ხალხის ხმა.) აბა კარგი ღვინო! კარგი საჭმელი! ამ სასთუმი, მობრძანდით, ბერლ ფრანც!

ბერლი, გიახლებით ამ სასთუმი, (მიკა. ხეროლს დახედავს, ღვინოს ბუთილკებით დააწყობს და საჭმელს ჩამოურიგებს ისინი: ეს ცოცხა კიდევ ღვინო!

ბირმან, კიდევ მოგვერთმევათ. (გამოდის ჩარდახში).

გამოსვლა 3.

ისინივე, (ყაყანებენ) და ყორუ.

(სამი ჩვამს, სჭამს, ზოგი ქაღალდს თამაშობს, ბირმანის ცოლი

შედის თავის სახლში, ბირმან ჩარდახში, — შემოდის ჟორჟი, მწუხარების სახით, გაყვითლებული, რომელსაც ჟორჟს დაინახავენ ქაღალდის მოთამაშენი, თამაშობას თავს ანებებენ, რომელნიცა სხედან ფეხზედა დგებიან და თითით აჩვენებენ ჟორჟზედ; ჟორჟი ამას ვერ ნიშნავს. დაათვალიერებს ცარიელს ადგილს და რა იპოვნის მივა და დაჯდება. ორნი კაცნი, ჟორჟის ახლოს მსხდომნი იღებენ სტოლითგან თავიანთ სასმელ საჭმელს და გადასხდებიან სხვა სტოლზედ. ჟორჟი ამაებს ვერ შენიშნავს, ისე გართულია მწუხარების ფიქრში, რომელსაც ეს ორნი კაცნი ჩამოეცლებიან, შემოდის ბირმან და შემოაქვს ღვინო.)

ბირმან. რა იქნით უმაწვილებო! ღვინო მომაქვს. (ისინი თითით აჩვენებენ ჟორჟს). ეს წყეული მთის მხეცი, აქ საიდან მოსულა? (შემოდის ბირმანის ცოლი) აგი გითხარი ქალო, ხედავ ის მთის მხეცი აქ მოსულა.

ბირ. ცოლი. ჲოჰ. ღმერთო! ერთი შეხედე როგორ ფერ წასულია და გამხდარი, — როგორ არ უნდა მივსცეთ შემწეობა.

ბირმან. ახლავე ვეტყვი, რომ აქედამ დაიკარგოს.

ბირ. ცოლი. ნუ იქნები აგრე შეუბრალებელი.

ბირმან. მე ვიცი, როგორც მოვიქცე. (ჟორჟს) გამიგონე საყვარელო... მეგობარო... ჟორჟი ხარ ვიღაცა!

ჟორჟ. (თავს აიღებს მაღლა, წამოდგება. ქუდს მოიხდის და თავს უკრავს შიშით, კრძალვით). რა გნებავთ ბატონო?

ბირმან. რაა?... აი რა..., მე მინდა გკითხო, რა გნებავთ?

ჟორჟი. არაფერი, ნება მიბოძე, ცოტა ხანს დავისვენო ამ სკამზედ.

ბირმან. რასაკვირველია მე მაგაზედ უარს ვერავის ვეტყვი, მარამ ეგ ადგილი დაჭერილი იყო.

ჟორჟი. ერთი ადგილი ცარიელი იყო. — მაშ შემეძლო დამჯდარვიყავ.

ბირმან. იქნება მართლა? რომელი?... (ცოლი კაბის კალთასა სწევს რომ თავი დაანებოს.) თავი დამანებე. იქნება გგონია მართლა მე მეშინიან ამისი. (ჟორჟს). აი რა უნდა გითხრა შენ ძმობილო, ვინც მოდის აქ ჭამა სმისათჳს და ფასს მაძლევს, მარტო იმას შეუძლიან სკამზედაც ჯდომა; ვინც აგრე მოდის უბრალოთ, იმას არ შეუძლიან სხვის ადგილი დაიჭიროს.

ჟორჟ (ადგება შეწუხებული სახით) შენში არა ყოფილა, სიბრალულის არცათუ მცირე ნაპერწკალი.

ზირმან. ყოფილა გიჟეც და მაქეს გიჟეც. მაგრამ უბედნიერესიც არა.

ზირ. ცოლი. დაეხსენი, ნუღარ ელაპარაკები, ცოდოა.

ჟორჟ. მუცელი მეწვის შიმშილით. მთელი დღე სიარულით მოქანცული ვარ, ერთი სტაქანი წყალი მაინც დამალევინე და შენ წავალ რა გაეწყობა.

ზირმანი. (ცოლს შეხედავს). დედაკაცო! წყალს ითხოულობს!

ზირ. ცოლი. რა საცოდაობაა!

ზირმანი. უნდა გამეგდო, მაგრამ ველარ გავაგდებ.

ზირ. ცოლი. დაეხსენი თუ ღმერთი გწამს, ჰხედავ იმისთანა კაცი არის, როგორც ჩვენ. მიეცი ერთი ნაჭერი პური და დაალევინე ერთი სტაქანი ღვინო.

ზირმანი. შენი ნებაა, აგრე იყოს. მაინც ეს უკანასკნელი არის და სხვა აქ აღარ იქნება. (ხედავს რომ ჟორჟ უნდა გავიდეს). ეი! გლახაკო, შე საწყალო, მოიცადე! ახლავე გამოგიტან პურსა და ღვინოს. (გადის. ზირმანის ცოლი ათვალიერებს, ვინ რა აქვს სტოლზედ.)

ჟორჟ. რა ვქნა, როგორ მივიდე შინ ცარიელი, უბედური. ცოლის შიმშილს გავუძლო თუ ჩემის პატარა ქალის შიმშილს. როგორ ავიტანო იმათი ტირილი! როგორ უთხრა მე იმათ. რომ სხვა სახლითგანაც გაგვაგდებენ და ცის ქვეშ უნდა მოგვიხდეს დღეის იქით დგომა. (აქეთ იქით იყურება.) ნეტავი შემხვდეს ვინმე გზაზედ.

ზირ. ცოლი. შენ საწყალო, ძრიელ დაღალული ხარ?

ჟორჟ. მთელი დღე და ღამე მივლია.

ზირ. ცოლი. მთელი ღამე? უფრო სამუშაოთ იქნებოდი ხომე.

ჟორჟ. არა, ტყეში დავდიოდი. (ზირმანის ცოლი შიშით შეხედავს ჟორჟს და მოშორდება. ზირმანი შემოდის, ერთის სტაქნით ღვინოს უდგამს სტოლზედ, ნაჭერს პურს და გარბის. ამ დროს გამოდის კარგათ ჩაცმული მოგზაური და შეცოდებით უყურებს ჟორჟს.)

გამოსვლა 4.

ისინივე და მოგზაური.

ზირმანი. ნუღარ იტყვი, რომ ჩემში არ იყოს ღარიბის სიბრალული. დალიე ღვინო, ჭამე პური და მაინც ღმერთი გადაგიხდის — თუ

ღირსი ხარ, დაგიფარავს. (გადის).

ყორჯი. (ამ განგების ხსენებაზედ, შედგება, თუმცა უნდოდა ეჭამა პური.) განგება! (ამოიოხრებს, მერე აიღებს პურს. ორად გასტეხს და შეისანსამს) ეს ერთი ნაჭერი_ჩემ ცოლს, მეორე შვილს. (ღვინოსაცი სვამს.)

მოგზაური. (რა უყურებს ყორჯს), ეს გლახა ვინ არის? რა სა-ცოდავია?

ბერ. ცოლი. ოჯ, ბატონო წასვლას აპირებთ? ხომ კარგათ მო-სვენებით გეძინათ წუხელის? ხომ კმაყოფილნი ბძანდებით?

მოგზაური. გმადლობ ბატონო, — მაგრამ ერთი უნდა გკითხო ბერმანს: ბევრნი არიან თქვენ მხარეზედ გლახები?

ბერმანი. გლახები? მადლობა ღმერთს, სრულებით არც ერთი.

მოგზაური. მაშ ეს გლახა ვინ არის?

ბერმანი. ეგ აქაური არ გახლავთ, დიდი ხანი არ არის, რაც აქ დასახლდა მაის მერმე, სოფლის ახლოს.

მოგზაური. რა გამხდარა! გამიგონე! მომიტანე ერთი ბოთლიკა ღვინო. ერთს სტაქანს დავლევ და დანარჩენს ამ გლახას დავალევინებ ჩემთან იმედი მაქვს — კმაყოფილებით დალიოს.

ბერმან. იმისთან უნდა მიირთოთ ღვინო?

ბერ. ცოლი. მითომ რატომაო, შენ რა დავა გაქვს? — ეი გერ-დი ერთი ბოთლიკა ღვინო და რიგიანი საუზმე მოართვი ამ ბატონს.

მოგზაური. სად არის ანგარიში. უნდა ჩქარა წავიდე, დანახარჯის ფული მიიღეთ.

ბერმან. ამ საათში მოგართმევთ, მზათ გახლავთ.

(ბერმანს მოაქვს ქაღალდი ანგარიშისა და ჩოტკი;, გერდს მსა-ხურს მოაქვს საუზმე, ღვინო და მოგზაური ანიშნებს რომ ყორჯს დაუწყონ სტოლზედ. ყორჯი ამას ვერ შენიშნამს, მოგზაური სტაქანს უმსებს ღვინით, ყორჯი თავს აიღებს და უყურებს მოგზაურს გან-კვირვებით.!

მოგზაური. დალიე საწყალო ეს ერთი სტაქანი ღვინო; მუცელს გაგითბობს. (გაუშვერს სტაქანს, უნდა შეახსნის, ყორჯ განკვირვე-ბით თავისასაც გაუშვერს. სუფრასთანი იქ მყოფნი განკვირვებით უყუ-რებენ და უნდათ მოგზაურს დაალევინონ, მაგრამ ბერმან ანიშნებს თავი დაანებონ). მრავალი მოწყალე ღმერთი, არ დაგდებს უმოწყა-

ლებოთ უბედურთ. (ჟორჟი უნდა დაელიოს ღვინო, შედგება, და[illegible]ამს სტაქანს სტოლზედ, და იქნევს თავს დანანებით.) დალიე საყვარ[illegible] მეგო, დალიე და ნუ დაკარგავ იმედს. (ორნივენი სმენ.)

ჟორჟი, ახ! ლონეს როგორ მიახლებს ეს ღვინო.

მოგზაური. დიდად მოხარული ვარ. (კიდევ უსხამს). დალიე გათიც და გამხიარულდი. იქნება ღმერთმა ინებოს და გიშველოს.

ჟორჟი. მიშველოს!... მიშველოს, მაგრამ ხვალ ცის ქვეშ მომიხდება ცოლშვილით დგომა.

ბირმან. გამიგონე, რა გითხრა. როგორღაც გული მეუბნება, რომ ამ ჩემს მოგზაურს რაღაც უბედურება უნდა შეემთხვეს.

ბირ. ცოლი. ნეტავი არ აჭყვებოდე მაგაებს? — მითომ რისთვისაო?

ბირმან. იმისათვის, რომ აქ პატივის ჰცემს მთის მხეცს

მოგზაური. კარგა რამ მამაგონდა ძმობილო. აქაური გზები შენ კარგათ იცი?

ჟორჟი. როგორ არ ვიცი ბატონო.

მოგზაური. ანბობენ სხვა მოკლე გზა არისო და შენ არ იცი ის მოკლე გზა საით მიდის?

ჟორჟი. როგორ არ ვიცი. მართლად და ძრიელ მოკლეთა სჭრის.

მოგზაური. ეგ კარგი მითხარი. შეიძლება ცხენით წასვლა იმ გზით?

ჟორჟი. ძრიელ კარგათ, თქვენ ხომ აქაური არა ბძანდებით?

მოგზაური. არა! მე მივდივარ ბერლინში.

ბირმანი. აი ბატონო თქვენი დანახარჯის ანგარიში. საჭმლისა, სადგომისა, სულ ერთიან შეადგენს ოთხ მანეთს და ათ შაურს.

მოგზაური. არა ყოფილა ძვირი. (იღებს ჯიბიდგან თეთრ ფულს და აძლევს.)

ჟორჟი. (რა უყურებს გულიანათ ფულს). ფულები!

მოგზაური. როდესაც აქეთ გამოვლა კიდევ მომიხდება, უეჭველად აქ ჩამოვხტები.

ბირ. ცოლი. გმადლობთ ბატონო.

მოგზაური. უბრძანეთ ცხენები მომიმზადონ და ჩემი ხურჯინიც გაიტანონ.

ბირმან. ამ საათში ბატონო.

ჟორჟ. (თავისთვის.) ნეტა საით გზაზედ წავიყვანო?... რომ შემეძლე-ბოდა!... არა? ამას მე შემწყნობა მომცა ახლა; არა, სჯობია ჩქარა

[illegible library stamp]

წავიდე, გაგეცალო აქედამ, მგონი ამითი დამავიწყდეს ეს ჩემი გუ-
ლის წადილი.

მოგზაური. გამიგონე მმობილო, ნურსად წასვალ! ერთი საათი ჩემთჳს ძვირფასია. ისე მივეშურები, შენ უნდა გამიძღვე იმ ბილიკს გზაზედ, რომ ამ მთებში გზა არსად დავკარგო, შენ ფეხის ქირა-საც მიიღებ.

ჟორჟ. მე?

მოგზაური. დიაღ, შენ, და გასამრჯელოსაც მიიღებ მეთქი.

ჟორჟ. არ შემიძლიან ბატონო.

მოგზაური. მითომ რისთჳსაო? თუ რომ გზა იცი მართლა და მაჩვენებ, შენისთანა ღარიბისათჳს ორიოდე შაური ფეხის ქირა, კა-რგი რამ არის,

ჟორჟ. მაშ ეს ღვინო სულ ერთიან დალიე.

ჟორჟ, (თავისთჳს) ღმერთო, შენ დამიფარე შეცთომისაგან.

ბირმან. (ცოლს.) არა, უთუოთ უნდა უთხრა არ გაჰყვეს. — გამი-გონეთ ბატონო!...

ბირ. ცოლი. ხომ არ გაგიჟდი კაცო? რათ უშლი საწყალს ღარი-ბსა ორიოდე შაური იშოვნოს. ან ვისი უნდა ექმნოდეს დღისით, ისიც დღევანდელ უქმე დღეს. რომ ხალხი ასე ირევა. ხომ კარგათ იცი, ხვალ აგდებენ ჩვენის სოფლიდგან და ორიოდე შაური გზა-ზედ მაინც გამოადგება სახარჯოთ.

ბირმან. მართალს ამბობ... ამისათჳს, რომ... თუ რომ.-..

ბერლი. (შემოდის ამ დროს). ცხენები მზათ გახლავან ბატონო.

მოგზაური. ძალიან კარგი, მაშ ახლა გამარჯვებით! (ჟორჟს) შენგი თან გამამყევი.

ბირ. ცოლი. მშჳდობით ბატონო.

ბირმან. გზა მშჳდობისა მოგცეთ ბატონო? ღმერთმა ინებოს შინ მშჳდობით მიბრძანდეთ. გზაზედ ნურსად შეიგვიანებთ. (აცილებენ. მოისმის მუზიკის ხმა.)

(ხალხნი გადიან მღერანი მხიარულათ; ამ დროს შემოდის ახალგა-ზდა ყმაწვილი კაცი, მოგზაური; ავიცერი. ეს არის ალბერტი, ჟორ-ჟის შვილი.)

გამოსვლა 5.

ალბერტი, შემდგომს ბირმანი.

ალბერტ. მარა გზაზედ. გოსტინნიცა „Парижъ" ეს სწორეთ ის ადგილი არის! მადლობა ღმერთსა! აქ სწორე ამბავს შევიტყობ. ეი, ვინ არის მანდ?

გერლი. რა გნებავთ?

ალბერტი. სად არის სახლის პატრონი?

გერლი. აქ გახლავთ ბატონო. ახლავე დაუძახებ. (ადის ჩარდახში დასაძახებლად.)

ალბერტი. (პალტოს იხსნის და სტოლზედ ზდებს.) ნეტავი ვიცოდე ბეჯითათ, მოვაგენი თუ არა! ვიპოვნი თუ არა ჩემ მშობლებს: კეთილს, მშვიდს ჩემს დედას და მამა ჩემს, რომელიცა თუმცა დამნაშავეა, მაგრამ საკმაოდ დაისაჯა! თხუთმეტი წელიწადია გაქცეულია და ვიდ სიღარიბეში! ახ! უნდა ადრე მივშველებოდი და შემწეობა მიმეცა, მაგრამ რა გავწყობოდა, ბიძის ჩემის ნებას, — ის ნეტარ ხსენებული ბიძა ჩემი დერმოს რომ არ მომკვდარიყო; ის ჩემი კეთილის მყოფელი, ახლაც ვერ მოვიდოდი ჩემის მშობლების სანახავათ და საშველათ. ახლა კი თავისუფალი ვარ და მინამ არ მივაგნებ იმათ, ვერც ერთს წუთს ვერ მოვისვენებ. ისინი უთუოთ როგორც ყური მოვკარ ამ სოფლის გარემემო სადმე უნდა იყვნენ. (ბირმან გერლი ჩამოდიან, თან მოაქვსთ ბუთილკებით ღვინო.)

ბირმანი. ეს ღვინო ჩაიტანეთ ქვემოთ. (ალბერტს.) რა გნებავთ ბატონო თქვენ?

ალბერტ: შენა ხარ ამ გოსტინნიცის პატრონი.

ბირმანი. სწორეთ მე გახლავარ. თქვენ სომ სამზღვარითგან არ მობრძანდებით?

ალბერტი. დიახ, სამზღვარითგან მოვდივარ.

ბირმანი. პორუჩიკის ჩინში?

ალბერტი. სწორეთ, რა იყო?

ბირმან. ის იყო, რომ თქვენ სახელობაზედ ერთი წიგნი გახლავთ ჩემთან.

ალბერტი. კიდეც ეგ უნდა მკითხნა შენთჳს?

ბირმანი, აი ის წიგნი. მიირთვით. მაგრამ ნება მიბოძეთ, ვკითხო

თქვენი გვარი?

ალბერტი. ჩემი სახელი და გვარი არის, ალბერტი დეყერმანე.

ბირმანი. სწორეთ თქვენა ბრძანებულხართ.

ალბერტი. ოჰ, მომეცი ჩქარა! ყოველი ბედნიერება ჩემი და მოხვენებით ყოფნა მაგ წიგნზედ არის დამოკიდებული. (კითხულობს.)

ბირმან (თავისთავს) უთუოთ საყვარლისაგან არის!... ამ წლოვანებაში, რასაკვირველია!

ალბერტი. (კითხულობს). ამას რას ვხედავ! აქ ახლოს არის! (ბირმანს.) გამიგონე საყვარელო მეობილო...

ბირმან. რას მიბრძანებთ?

ალბერტი. მე მინდა მოვძებნო, ერთი აქ სოფელში მცხოვრებთაგანი. თუ შენ მე იმას მაჩვენებ, არაფერს დავიშურებ შენთვის.

ბირმან. მიბრძანეთ და მე მზათ გახლავარ.

ალბერტი. ხომ ყველას იცნობ ამ სოფელში?

ბირმან. რასაკვირველია ყველას ვიცნობ.

ალბერტი. აქ უნდა სცხოვრებდეს ერთი კაცი, ორმოც და ათის წლისა. დიდ სიღარიბეში და არც ვინმე უნდა იცოდეს იმისი ვინაობა.

ბირმან. არა, აქ მაგისთანა არავინ გახლავთ.

ალბერტი, მაშ ამ წიგნში რათა მწერენ, ამ ორის წლის წინათ...

ბირმან. ორი წლის წინათ?... მოითმინეთ!... არის, მართალია, ერთი — მაგრამ არა, მგონია იმასა კითხულობდეთ. — რა ჰქვიან სახელათა?

ალბერტი. თუ სახელი არ გამოუცვლია აქ იმას, — იმას ერქო ყორეფი!...

ბირმან. ყორეფი! მაღალ-მაღალ ტანისა, გამხდარი! როგორ არ ვიცნობ მთის მხეცსა!

ალბერტი. მაშ სწორეთ იცნობ? იმის ცოლს ამალიასაც!

ბირმან. ცოლს ნუღარა მკითხამ, ის ისეთი კეთილი სულია. მშვდობიანი, ღვთის მოყვარე. რომ ვინ არ იცნობს აქ იმას.

ალბერტი, (თავისთავს და თან ცრემლებს იწმენდს) საცოდავი დედა ჩემი! მადლობა ღმერთს, რომ კიდევ მეღირსება იმისი ნახვა.

ბირმან. (ჩუმათ) როგორ შეწუხებული სახე აქვს!

ალბერტი. სად არიან ღვთის გულისათვის? სადა დგანან?

ბირმან. სუთ ვერსზედ ამ სოფლიდგან, მთის ძირში, ღარიბ,

დატაკს, მიქცეულ-მოქცეულს ქოხში, გვერდზედ ერთი დიდი უშვე-
ლებელი ხევიც აქვსთ.

ალბერტი. მართლა ძრიელ სიღარიბეში არიან.

ბირმან. ძრიელ დ აგრე!... ამ ერთის საათის წინათ ის ყორჩე მთის მხეცი აქ იყო, თითონ.

ალბერტი. აქა?

ბირმან. დიახ, აქა, აი თითონ ამ სტოლზედ იჯდა, ძრიელ რომ შემეცოდა მშიერი იყო, ერთი ლუკმა პური გავჭამე სამადლოთ. მერე ერთმა ვიღაცა მოგზაურმა წაიყვანა გზის საჩვენებლათ. ღმერთმა ინებოს მშვიდობით მიიყვანოს. (ალბერტი მეტის მწუხარებით სკამზედ დაეშვება). რა ამბავია ბატონო? ცუდ გუნებაზედ ხომ არ შექენით? ხომ არა გნებავთ რა?

ალბერტი. არა ჩემო ძმობილო. დაღალული ვარ ძალიან დ ამისათვის.

ბირმან. გერლი, ფრანც, ეი, ვინა ხართ მანდა?

გამოსვლა 6.

ისინივე. ბირ. ცოლი, გერლი, ფრანცი, შემდგომს ხალხნი.

ბირ. ცოლი. რა ამბავია? რა მოხდა?

ბირმან. ჩქარა, ჩქარა ღვინო მოართვით აფიცერს!

ალბერტი. არა ჩემო ძმობილო, მე ახლა არა მცალიან. ძრიელ ვეშურები, ახლავე უნდა წავიდე; სადამოზედ ჩემი ტარანტასი მოვა დ ორნი ბიჭებიც მოჰყვებიან თანა ამაღამ რიგიანათ შეინახეთ ისინი დ სვალისთვის მომიმზადეთ კარგი წმიდა სადგომი, აქ ჩვენ რამდენიმე დღე დავრჩებით.

ბირ. ცოლი. ძრიელ მოხარულნი ვიქნებით.

ბირმან. იქნება მართლა ახლავე მიბრძანდებით? როგორღაც იღრუბლება დ წვიმას აპირებს (უცებ ბნელდება, ისმის ქუხილი შორითგან)

ალბერტი. სულ ერთია, უთუოთ უნდა წავიდე. აი ესეც ოქრონი გასამრჯელო (აძლევს ფულს), ოღონდა დამანახვეთ იმ საწყლის გლახაკის ქოხი! ყორჩეისა!

ერთობ. ყორჩეისა!

ბირ. ცოლი. რისთვისა ბატონო? ღვთის გულისათვის ნუ მიბრძანდებით იქა!

ალბერტი. ერთი წუთი ჩემთჳს ძვირფასია; გული მეტანჯება მოუთმენლობით. (სიჩუმე).

ბირმან. საუზმე მაინც ინებეთ.

ბირ. ცოლი. მერე რა დიდ წვიმას აპირებს.

ალბერტი. არაფერი არ შემაყენებს. თქჳნი ჭირიმე მხოლოთ მითხარით, საითკენ უნდა წავიდე. (ხმაურობა, წვიმის შუილი, ქუხილი, ელვა, სახლსნი მირბიან მხიარულათ, ალბერტი ისხამს პალტოს, მოსამსახურები ჰკრებენ სტოლებს, სკამებს და შეაქჳსთ შინა.)

ალბერტი. ღჳთის გულისათჳს გზა დამანახვეთ.

ბირმან. რადგან არ იშლით და უეჭველათ გნებავთ წასვლა, მოგახსენებთ: სოფელს რომ გასცილდებით, მარცხნივ შეუხვიეთ, ერთი ბილიკი მიზდევს, ის ბილიკი მიგიყვანს ტყით, მთის ძირას, სწორეთ იმის ქოხთან.

ბირ. ცოლი. სიბრთხილითკი, თუ ღმერთი გრწამსთ, ის კაცი საშიშია,

ბირმანი. არას დროს ფიქრათ არ მოგივიდეთ, "დიდხანს" იმასთან დგომა. (ძლიერი ქუხილი.)

ალბერტი. მშვიდობით! მადლობელსა ვარ!

ბირმან. (იქ მყოფთ) თქჳნკი შინ შემობრძანდით. იქ ყველა მზათ გასლავთ. (ერთიან გადიან.)

დეკორაცია იცვლება.

(ყორყის ქოხი მთის წვერზედ, რომელსაც დიდი ხევი აქჳს. მარცხნივ მხარეზედ ცარიელი ბუხარი აქჳს. კრაოტი დადგმულია, ზედ თივა გაშლილი და დახეული ფარდა ჩამოფარებული აქჳს კარებსა. მარცხნივ ოთახსავით მიდგმული სახლი აქჳს. პირ და პირ მიგრეხილ-მოგრეხილი ფანჯარა უმინოთ, საიდამაც ჩანს მწვანოვანი ტყე. რამდენიმე გზა ბილიკი მიდის აქეთ იქით ტყისაკენ, შორს. მაღლა კიდევ მთის წვერზედ მოჩანს ვრცელი ვაკე. ქოხი წარმოადგენს დიდ სიღარიბეს. პატარა სტოლი დგას ქოხის შუა გულს და ზედ ნაქსოვი წინდები აწყვია, თიხის ჯამები და სალვინები კუნჭულში აწყვია, აგრეთვე ცული.)

გამოსვლა 7.

ამალია, შემდგომ ჟორჟეტტა.

(სიბნელეა; ქარი ქრის. ელავს ხანდისხან ამალია გამოდის მეორეს ოთახიდგან; სახეზედ ეტყობა დაქანცულება. მველმელ ტანისამოსშია.)

ამალია. ამისთანა ქარიშხალი გაგონილა. აგერ მოაყანა წვიმამ ამ ჩუენ მთას. შეშინიან ეს ქოხი თავზედ არ დაგვექცეს. ჟორჟეტი გუშინდელს აქეთ შინ არ შემოსულა. უთუოდ სამუშაო ვერა უშოვნიარა და ცარიელის ხელით შინ არ მოდის. რა მეშველება ამალამაც რომ არ მოვიდეს; თუნდა მოვიდეს და პური არ მოიტანოს, წყალი მოვა და წაგვიღებს!... საცოდავი ჩემი ქალი!... (მივა ფანჯარასთან, რომლის უკან სძინავს ჟორჟეტტას.) სძინავს... დაიძინე, დაიძინე საყვარელო ჟორჟეტტა!.. ღმერთმა ინებოს დიდ ხან გეძინოს რომ არა გნახო შენი შიმშილზედ ჩივილი. (ტირის. ქუხილი და ელვას ემატება) რა გამოვიდა ამ ტირილითგან; ტირილი ხომ არ გაგვაძღობს. ეს წინდები მალე მაინც მოვქსოვოთ, წავიღებ სოფელში გავყიდი და პურს მაინც ვიყიდი. (ჯდება და ქსოვს) აა, თუ ასე იქნებოდა და მართლს სიცოცხლეს სიღარიბეში და სიღატაკეში გავატარებდი, ნეტა ღმერთს შვილები მაინც არ მოეცა!... მაგრამ მგონია, თუ სადმე კიდევ ცოცხალია ჩემი ალბერტი, ის მაინც არის ბედნიერი? ნეტავი ვიცოდე, სად არის ახლა? ნეტა გახსოვარ კიდევ თავისი მშობელი დედა, ან თავისი და? მაშინ ჯერ კიდევ პატარა იყო, —ახლა რასაკვირველია დიდი იქნება!... ღმერთო, ნეტავი მაღირსებ კიდევ როდისმე იმის ნახვას?... (ძლიერი ქუხილი; მეტის ქარიშხალისაგან კარი გარდება მორს. ამალია შეშინებით წამოვარდება, ჟორჟეტტა შიშით წამოვარდება მძინარე და ეხვევა თავის დედას.)

ჟორჟეტტა. დედაჯან! დედაჯან! ეს რა ამბავია?...

ამალია. ნუ გეშინიან შენ გენაცვალოს ჩემი თავი! ქარმა ჩამოაგდო კარები. მამა მოვა შვილო და ისევ ჩამოჰკიდებს.

ჟორჟეტტა. მამა ჯერ არ მოსულა?

ამალია. ჯერ არა! ოჰ, ღმერთო! (ტირის).

ჟორჟეტტა. ნუ ტირი დედაჯან, მე მშიერი არა ვარ, მოვიცდი მამას მოსვლამდის, თუკი შენ იცდი, რატომ მეკი არ უნდა მოვიცადო.

ამალია. საცოდავო.

ჟორჟეტტა. არ მეშინება, მამეცი მეორე წინდები, მე მოვქსოვ.

ამალია. აი, შვილო, ერთათა ვქსოვოთ.

ჟორჟეტტა. მამეცი დედაჯან... (ქსოვას დაიწყობს და ისევ იმ წამსვე თავს ანებებს). ახ! ღმერთო! მე არ შემიძლიან ქსოვა.

ამალია. რისთვის შვილო?

ჟორჟეტტა. ამისათვის, რომ ძრიელა მცივა, თითები მეყინება სიცივით.

ამალია. (დააგდებს წინდებს) მართლა შვილო! მოდი, მოდი ჩემთან უბეში გაგითბობ. (ისმის ვიღასიც ხმა). მგონია ვიღაც მოდის.

ჟორჟეტტა, (გაიქცევა კარებისაკენ.) მამა არის!

გამოსვლა ვ.

ისინივე და ჟორჟი. (მოაქვს კალათით საჭმელი; რაღაც შიში და პირუტყული მწუხარება აჩნევია პირის სახეზედ).

ამალია. ოჰ, ეგ შენა ხარ ჟორჟ! რა გამეხარდა, რომ გნახე!

ჟორჟეტტა. მინამ მოსვიდოდი, როგორ გვეშინოდა მამაჯან!

ჟორჟ. გეშინოდათ? რისა?

ამალია. ქარისაგან;—კარებები ჩამოაგდო. ხომ არაფერი შეგემთხვა ჟორჟ!

ჟორჟ. ეგ რა კითხვაა?

ამალია. შინ არა ყოფილხარ გუშინდელის დილიდგან და ამისათვისა გკითხამ.

ჟორჟ. ჰო! ეგ მართალია!... არა, არაფერი არა შემთხვევია. (ცოლს აძლევს ჯოხსა, რომელიც ხელში უჭირავს).

ამალია. (ჯოხს კუთხეში მიაყუდებს). მადლობა ღმერთსა! რა მოუთმენლივ მოგელოდით. ხომ არა გიშოვნიარა საზრდო ჩვენთვის?

ჟორჟ. (დაანახვებს კალათას). ხომ ხედავ, რომ მომიტანია.

ამალია. (ართმევს კალათასა და შიგ იყურება), ღმერთმა აღდეგრძელოს ის კაცი, რომელმაც აგრე უხვი შემწეობა მოგვცა. ჟორჟეტტა შვილო! მიდი მოეხვიე მამა შენს. უყურე, რამდენ ნაირი საჭმელი მოუტანია... (ჟორჟეტტა მირბის ჟორჟისაკენ, მაგრამ ის ხელსა ჰკრამს შვილსა.)

ჟორჟ. ნურავის ეუბნები მადლობას. (განკვირვებული ამალია, ხელს

მოჰკიდებს ჟორჟეტტას და თავისაკენ წამოიყვანს;) ჩქარა გაშალეთ რაც შიგ აწყვია, ღამის შიმშილით მოვკვდე, მთელი დღეა არა მიჭამია-რა (ჯდება სკამზედ.)

ამალია. სულ მზათ იქნება ჟორჟ, მაგრამ რატომ აგრე ხარ; ავათ ხომ არა ხარ?

ჟორჟ. ავათ? სულ ერთია!—ხომ მაძღარი იქნებით და ბედნიერი. დამისხი ღვინო, გულის დამავიწყებს ეგა. (ლუკმა პურს იღებს და მიიტანს პირთან; ამალია მისცემს ერთ სტაქან ღვინოს; როდესაც მიიტანს პირთან, რომ უნდა ჭამოს და დალიოს; უცებ ისევ დასდებს სტოლზედ; ადგება და ჯდება კუთხეში ღრმათ ფიქრში შესული). არა! მე არ მინდა! თქვენა ჭამეთ და დალიეთ გიდეცა.

ამალია. (დგება) ეს რასა ნიშნავს ჟორჟ? აკი შენ თითონ მაშუ-რებდი ჩქარა.

ჟორჟ, დიახ! ჰო! მე მშიერ მწყურიან,—ჟორჟეტტა, მომაწოდე ლიტრა, თუ წყალი დგას!

ამალია. ჰა, ჟორჟეტტა მიუტანე მამა შენს. (აძლევს ლიტრას).

ჟორჟეტტა. აი მამაჯან, დალიე. (ჟორჟი სვამს). ახ! მამაჯან! ხე-ლები სისხლიანი რათა გაქვს?!

ჟორჟ. სისხლიანი!

ამალია. სისხლიანი! ხომ არავის დაუჭრიხარ?

ჟორჟ. არა! კლდეზედ წავიქეცი და ცოტა ხელები დავიკაწრე.. ეს არაფერია! ამალია! ცეცხლი აანთე შენი ჭირიმე, ღამის სიცივისაგან გავშეშდე.

ამალია. ცეცხლი? ხომ იცი საყვარელო ჟორჟ რომ შეშა არა გვაქვს.

ჟორჟ. მართალია! მე დამავიწყდა. (იცინის ძალდატანებით). მაშ გაიხარე: ჩვენი ბედი შეიცვალა; მალე დავანებებთ თავს ამ ქოხსა.

ამალია. რას ანბობ ჟორჟ?

ჟორჟი. ხვალ დილით, მინამ მზე ამოვიდოდეს, აქედან უნდა წა-ვიდეთ. თითონ მდივანბეგმა მიბძანა, როდესაც დაჩოქებული ვთხოვ-დი, ვადა მომეცა ცოტა ხანს, რომ აქედან უთუოთ უნდა გადავსახ-ლდეთ სადმე. აი, თუ გინდა შენც წაიკითხე (აძლევს ქაღალდს.)

ამალია. ოჰ, მრავალ მოწყალეო ღმერთო!.. ეს რა მესმის!.., აქე-დანაც დაუთხოვნივართ!... ახლა რა გვეშველება, სად უნდა წავიდეთ; ცის ქვეშ უნდა ვიცხოვროთ, ულუკმა პუროთ! (ტირის).

ჟორჟ. (ართმევს ქაღალდს). რასა ტირი; რა ძრიელ სამძიმოა მიგაჩნია ამ ქოხის თავ დანებება. ან რა ქოხი არის, წვიმისაგან თავის შეფარება არ შეიძლება! დამშვიდდი, გათავდა; ბალახზედ აღარ დავიძინებთ ამის შემდგომს; კიდი აიღე თუ ღმერთი გწამს ნუ ტირი; არ გეყო რაც იტირე. ხვალ შორს სადმე უცხო ქვეყანაში წავალთ.

ამალია. როგორ უცხო ქვეყანაში! ისგი საკმაო არ იყო მოვშორდი ჩემ სამშობლოს ქვეყანას, რომ უფრო შორს არ გადამკარგო; ისიც ჩემ ალბერტზედ უფრო მოშორებით.

ჟორჟ. არ შეიძლება, ამალია. ეს ჩვენთვის ძრიელ საჭირო არის; ვინ იცის, ან ჩვენი ალბერტი სად არის? უეჭველია ბიძა შენი ჩვენს თავს სრულებით დაავიწყებდა.

ამალია. ან სად უნდა წავიდეთ უფულოთ; გროში არსად მოგვე-პოება.

ჟორჟ. დღეს ხომ გაძეხი; ხვალაც ვიშოვნით სადმე იმოდენს, რომ გავძღოთ. აი, მიყურე, რამდენი ფული მაქვს! (ჯიბიდგან იღებს მუჭით ასიგნაციებს.)

ამალია. ოჰ. ღმერთო! ეგ ვინ მოგცა?

ჟორჟ. ვიპოვნე.

ამალია, იპოვნე?... (განკვირვებით.) ღმერთო! ეს რა მესმის!

ჟორჟ. ამ ფულის ნახევარიც საკმაო არის, რომ რომელსამე უც-ხო ქვეყანაში სადმე წავიდეთ, მეორე ნახევარით ვნახოთ, იქ რა იქ-ნება... ყოველთვის უბედურს მდგომარეობაში ხომ არ ვიქნებით; გა-ნა ბედი ყოველთვის გვიღალატებს. ერთი თვალწიკი მოვავლო ფულის ალაგს, თორემ სულ ერთიან ჩემი იქნება!

ამალია. როგორ? იქნება კიდევ აპირებ ხელი მიჰყო ქაღალდის თამაშობას?

ჟორჟ. სუს! ჩუმათ! ვიღაც მოდის! დამალე ეს სასმელ-საჭმელი და ნურავის ეტყვი თუ მე ფულები მაქვს.!

(შეშინებული ამალია დააფარებს სუფრას რაღასაც ტილოს, რომ დამალოს; ამ დროს ვიღაც გლახა დაგლეჯილის ტანისამოსით შემო-ვა და დადგება კარებთან; ეს არის კარნერი.

გამოსვლა 9.

ისინივე და გარნერი.

გარნერი. ღმერთი გადღეგრძელებთ ბატონებო, მოწყალებას უბოძეთ გლახას; ერთი ლუკმა პური მაინც მიბოძეთ. (ქუდს გაუშვერს და მიუახლოვდება.)

ამალია. გლახა არის!

ჟორჟეტტა. ას დედაჯან! მიეცი ერთი ნაჭერი პური.

ჟორჟი გააგდეთ აქედან ნუ უშვებთ შინა!

ამალია. მივცეთ ერთი ლუკმა პური საყვარელო ჟორჟ; ხედავ ჩვენზედ უბედურ მდგომარეობაში არის.

ჟორჟეტტა. საწყალი, იქნება ეგეც ისეთი მშიერი არის, როგორც ჩვენა ვართ ხოლმე ზოგჯერ. (ჟორჟს გული უნდა მოსტკივდეს, მაგრამ რაღაც მხეცური შიში შეაყენებს.)

ჟორჟი. არა! არ გაბედოთ, არა მისცეთრა.

გარნერი. თითონ თქვენ ღარიბები ხართ და მაგ სიღარიბეში ღარიბის და საწყლის შებრალება არა გაქვსთ. კარგია, რომ ეგ კეთილი დედაკაცი გლახის შემბრალეა. (ჩააცქერდება თვალებში და იცნობს). ღმერთო! ამას რას გხედავ!-. ეს ისინი არიან!

ჟორჟ და ამალია. გარნერია!

გარნერი. ჰსწორეთ ჟორჟია!

ჟორჟი. (ეძებს თავის ხანჯალს და ხანჯალს რომ ვერ იპოვნის ცულს წამოავლებს ხელსა.) შენ ბოროტო სულო! თითონ ჯოჯოხეთი გგზავნის შენ აქა, რომ სისხლი ვიზღვიო შენი! ჩემის ხელით მოგკლავ ახლა! (ცულს აიღებს მაღლა დასარტყმელად; გარნერი მაშველებს თავის დიდ ჯოხს; ამალია და ჟორჟეტტა შუაში ჩავარდებიან).

ორნივენი. ღვთის გულისათვის ნუ მოჰკლავო.

ამალია. საყვარელო ჟორჟ! ნუ მოჰკლავ! უფრო კარგათ ღმერთს საკმაოთ დაუსჯია ეგა. ნუ შეიქნები კაცის მკვლელი.

ჟორჟი. (შემრწყუნებული.) კაცის მკვლელი! (ცული ვარდება ხელითგან, ამალია იღებს და უმალავს).

გარნერი. (ცივათ). კიდევ ისე გიჟი ხარ! კარგია რომ შენი ცოლი შენზედ გონიერია, თორემ იქნება მოგეკლავი. ან რა სარგებლობა იქნება შენთვის? უნდა სწორეთა ვთქვა, რომ დანაშაული მაქვს შენ-

თან. მაგრამ დროება ყველას აჳიწყებს კაცსა. ან რათ სწუხდები, განგებამ საკმაოთ დამსაჯა. თხუთმეტი წელიწადია რაც გავშორდით ერთმანერთი; ამ თხუთმეტის წლის განმავლობაში ტანჯვაში მოვდიგარ, ბოლოს კიდევ ერთათ შევიყარენით; ორივენი ერთს მდგომარეობაში და ერთს სიღარიბეში ვართ, შენს ალაგს რომ ვყოფილვიყავ სუყველაფერს დავივიწყებდი, კელს გამომიშვერდი შენს ადრინდელს ამხანაგს და მეგობარს; და ორნივენი ერთათ ვეცდებოდით, თუ როგორ გაგვესწორებინა ჩუენი მდგომარეობა.

(ყორჟე ჯდება, ცოლიც გვერდს მიუჯდება, ქალი კალთაზედ უზის მამას; ხშირათ უბრუნდება ამალიას და ზურგს აქცევს ვარნერს, რომ არ უნდა ყურის გდება.)

ყორჟე. არა! ჩუენში არაფერის დამოკიდებულება არ შეიძლება. შენ მამაკვლევინე მართალი სული.

ვარნერი. ვინ არის დამნაშავე? შენ რომ გაჯავრების დროს ისე აღელდე, მე რა ვქნა? მაინც, რა წაგისდა მაგითი; მეც შენსავით უნდა დავესაჯნეთ; მეც შენსავით გამოვექეც სამართალს და ვთრევი ასე უგზო უკვლოთ. თხუთმეტი წელიწადია დავტანტალებ ერთის სოფლიდგან მეორეში; ხედამ რა სიგლახაკეში მოვასწიე. რას მოვიფიქრებდი ამ ტანტალში და გლახაობაში. შეგხვდებოდი, შენ, ჩემ ძველ მეგობარს და ამხანაგსა.

ამალია. მეგობარსა? — ნუ ამბობ მაგ საღმრთო სიტყუასა?

ვარნერი. ეჰ. ქალო! ღუთის გულისათჳს, ნუ მიწყრებით. რადა დროს წყრომაა! ცალკე შიმშილით და წყურვილით; ცალკე სიცივითა გვკუდები. ნება მიბოძეთ ამაღამ ღამე აქ გათიო; ხვალ, რადგანაც ყორჟეს არა სურს ჩემთან დამოკიდებულება. ავიღებ ჩემს ხურჯინს, დავიჭერ ჩემს ჯოხს ხელში და შევუდგები გზასა.

ამალია. ყორჟ!

ვარნერი. მე არა ვიცირა, როგორც ამალია შენი ნება იყოს.

ამალია. დარჩით ბატონო, ჩუენ არ შეგვიძლიანთ დაუჭიროთ ბინა იმ გვარი კაცთა, რომელნიცა ჩუენსავით სიღარიბეში არიან, ამას გარდა ეს ქოხი ჩუენი აღარ არის. ხვალ ჩუენ გავდივართ აქედანა. იმედიგი მაქვს ჩემი ქმარი დამიხსნის იმ სამინელებისაგან, რომ სხვის შემდგომს თვალით აღარ დაგინახო. ყორჟეტტა, მეღო, გავიდეთ მეორეს ოთახში. (გადიან ამალია და თავისი ქალი; ყორჟე

გაატილებს და რომ დაბრუნდება შუბლ შეკრული.)

გამოსვლა 10.

გარნერი, ჟორჟი, შემდგომს ჟორჟეტა.

გარნერი, (იხსნის ხურჯინს და მიაყუდებს კუთხეში). შენი ნებაა, ჩემთჳს სულ ერთია. რადგანც ამაღამ შენ ქოხში ღამეს მათევინებ. მაშ ცოტა გექმნება რამე მაჭამე კიდეც. (ჯდება სტოლზედ; ჟორჟი მოშორებითა ზის) ოჰო, მე როგორც ახლა გხედავ ჩემო ძმაო, შენ ისე ღარიბი არა ყოფილხარ, როგორც გეტყობა. რა ჩინებული ღვინოა! ახ, რამდენი ხანია ამისთანა ღვინო აღარა დამილევია; როგორ ყუათზედ მოვყევარ! ჟორჟ! კაცო, წინ მოჯექი, რას იმალები, მოჯექი წინ დავლიოთ ერთად. იქნება კიდევ მიწყრები?

ჟორჟი. (მოწყენილი.) არა! ერთმა სიტყვამ, რომელიცა შენ გერ გაიგე, სრულებით გული შემიცვალა; ისე წყრომით აღარ ვარ, როგორც წეღან გიყავი; სულ ერთიან · დავივიწყე; მაგრამ ამაღიასკი ძრიელ აწყენინე. ისე აწყენინე, რომ თვალის დასანახავათაც ეჯავრება.

გარნერი. დიახ! თითქმის მართალია... ძრიელ ვწუხვარ; მერწმუნე ძრიელ! ამისათჳსაც და თქუჱნის აგრე სიღარიბისათჳს, უფრო შენთჳსა ვწუხვარ.

ჟორჟი. რისთჳსაო?

გარნერი. (სჭამს და სვამს). ცოტაოდენი რამ რომ გქონიადა, მაშინ ჩუჱნ ბევრს რასმეს მოვასერხებდით, მე მხოლოდ ახლა ერის შემთხვევას ველოდები. ამ შემთხვევის მიზეზი ყოვლთჳსა მაქუს. ერთი მუჭა ფული რომ მქონოდა, ისე გავმდიდრდებოდით, რომ ღმერთმა შეარცხვინოს მაშინ, ჩუჱნთან გრეზი.

ჟორჟი. (ყურადღებით უსმენს). როგორ?

გარნერი. როგორაო და, ასე რომ დიდი ხანი არ არის ერთი საიდუმლო რამ შევიტყე.

ჟორჟი. საიდუმლო?

გარნერი. (დგება.) დიახ! მე შენ წილს არ დაგიდებდი იმ სიმდიდრეში, რომელსაც მოველი ამ საიდუმლოებისაგან, მაგრამ შენი მეგობრობის და ამხანაგობისათჳს, არას დავიშურებ. ამას გარდა მინდა გარდაგიხადო რითიმე, რომ თუ რომ ჩემგან ზიანი მოგცდ-

მის, გაასწორო როგორმე.

ჟორჟი. მერე რა ღონის-ძიება უნდა მაგ საიდუმლოებას? ან და თუ მაგ საიდუმლოება იცი, რათ დადიხარ აგრე მიგლეჯილ მოგლეჯილი.

გარნერი. ეს მართალია, ისეთი ტანისამოსი მაცვია, რომ ახლა არას დამიჯერებ, მაგრამ მოვა დრო და დარწმუნდები ჩემ სიმართლეზედ.

ჟორჟი. რა არის მაგ საიდუმლოება არ შეიძლება მითხრა?

გარნერი. არ იფიქრო ეს საიდუმლოება ტყვილი იყოს, ან მოგონება; ამ საიდუმლოების მიგნობა ძრიელ ძვირათ მიზის. ეს საიდუმლოება აი რა არის: როდესაც ქაღალდს ეთამაშები ვისმე, შეგიძლიან მიხვდე ვის რა კოზირი აქვს! (ჟორჟ განცვიფრებით მიუახლოვდება). ხომ კარგათ იცი, ეს რომ იცოდეს კაცმა, რამდენს მილიონებს მოიგებს. ახლა მივდივარ უცხო ქვეყნებისაკენ. იქ ძრიელ ბევრნი არიან მდიდარნი, ქაღალდის მოთამაშენი, და შენ ნახავ, როგორ დაუცარიელებ მე იმათ ჯიბებს. მაგრამ პირველში კარგა იცი ცოტა ფული არის საჭირო. თუ ფული არა მაქვს, აბა როგორ დავიწყო თამაშობა.

ჟორჟ. იქნება მართლა მაგ საიდუმლოებას მიხვდი?

გარნერი. სწორეთ ძმაო ჟორჟ! სწორე უნდა გითხრა, თუმც ძრიელ ღარიბი ვარ, მაგრამ არც თუ ერთ მილიონათ შევატყობინებ ვისმე ამ საიდუმლოებას.

ჟორჟ. (თითქო არც ერწმუნება და სჯერავს კიდეც). მაშ მე მეტყვი რაღა მაგ საიდუმლოებას?

გარნერი გეტყოდი მაგრამ შენ ისე გაჯავრებული ხარ ჩემზედ, რომ...

ჟორჟი. (უთავაზებს ბურნუთის კოლოფს). პირველად ვჯავრობდი, ახლა ხუ დამავიწყდა.

გარნერი. შენ კიდევ ჰო, მაგრამ შენი ცოლი...

ჟორჟ. იმას როგორ შეუძლიან, ერთს უბრძანებ და ხმას გავაკმედინებ.

გარნერი. მაგი შეიძლება. ერთი მხოლოდ დაგვაბრკოლებს, როგორც წეღან გითხარი, ფული! და ეს ფული, მე მგონია შენ უფრო ნაკლები გქონდეს ჩემზედ.

ჟორჟი. რა იცი, იქნება ნაგლეჯი არა მაქვს.

ვარნერი. ოჰო!

ჟორჟი. (ჯიბიდგან იღებს ერთს მუჭა ასიგნაციებს). აბა უყურე!

ვარნერი, (მეტის ნდომით). ფულები! რაღა გვინდა. რადგანც ფულები გქონია, ნასყიდარი მოგება შენი იქნება. ამხანაგი იქნები ჩემი. მაგაზედ მეტი არა გაქვს?

ჟორჟი. არა!... განა კიდევ საჭიროა?

ვარნერი. რასაკვირველია.

ჟორჟი. ძრიელ ვწუხვარ.

ვარნერი. რომ კიდევ მოგეხერხებინა... სად იშოვნე ეგ ფული?

ჟორჟ. (შეძრწუნებული). ეგეი არ შემიძლიან გითხრა! მაგრამ დარჩი აქ ჩემთან... (ამ დროს გამოჩნდება ალბერტი მთის წვერზედ.)

ვარნერი. მოიცა შენი ცოლი, და შჳლი ყურს არ გვიგდებდნენ იქით ოთახიდგან!... მერე, ჰო, რა უნდა გეთქო?

ჟორჟი. მე? არაფერი! იმას ვამბობდი, რომ ჩემთან დარჩი მეთქი. ხვალ ჩემზედ რაც რამ ხარჯი არის შეწერილი მივცემ, და დავრჩეთ ამავე ქოხში.

ვარნერი. არა, მაგაზედკი თანახმა ვერ შევიქნები. საითკენაც გინდა გამოგყვები და აქ დარჩომაკი არ შემიძლიან. ხვალ დილაზედ უთუოდ უნდა წავიდე აქედან.

ჟორჟი! რისთვის? თუმცა ეს ქოხი ძალიან მიქცეულ-მოქცეული არის, მაგრამ აგერ ორი წელიწადია ამაში ვდგევართ.

ვარნერი. არა, მაგისათვის არა; მდიდარი სახლი იყოს, თუ ღარიბი, ჩემთვის სულერთია! მიზეზი მხოლოდ ეს არის, რომ მე აქაური არა ვარ და ბაშპორტი მე არა მაქვს. მე ვარ გლახა და ერთს მცირე მიზეზზედ სასტიკათ მომექცევიან. (ჩურჩულით) გუშინწინ ამ მთებში რომ დავდიოდი, ერთს ალაგს მივადექი შეგროვილ ქვებს, ზედ ბალახი და მიწა ეყარა. ეს რომ ვნახე, გამიკვირდა! ცოტა ჯოხით გადავქექე და ვნახე, რომ...

ჟორჟ. (პირზედ ხელს აფარებს.) ხმა გაჰკმიდე!

ვარნერი. რა ამბავია, განა შენ იცი ეს ამბავი?

ჟორჟ. თითონ შენ ნახე?

ვარნერი. ვნახე!

ჟორჟ. წავიდეთ აბა თუ მართლა ძველი მეგობრობა არ დაგვიწყე-

ბია; ახლა კარგი დრო არის, ღამეა, — მივიდეთ და ღრმათ ჩავფლათ.

ვარნერი. (შეუდგება განკვირვებით). ეგ განა შენ ჩაგიდენია!...

ჟორჟ. არა! მე არა! — ჩემს სიღარიბეს. წავიდეთ ღუთის გულისათჳს, ჩავფლათ მაგრა. (ვარნერი იღებს ხურჯინს და ჯოხს, — ორნივეს უნდათ წასვლა.

ჟორჟეტტა. (შემოდის და შემოაქჳს ანთებული ჭრაქი.) მამაჯან! ბნელაში ხართ? გნებავს ბუხარს ავანთებ?

ჟორჟი. არ გვინდა. ჩუჱნ სხუაგან მივდივართ, თუ დედამ გვიკითხოს, უთხარი სხვაგან წავიდნენ თქო, და ახლავე მოვლენთქო. (გავლენ.)

გამოსვლა 11.

ჟორჟეტტა და შემდგომს ალბერტი.

ჟორჟეტტა. წავიდა მამა და კიდევ მარტოკა გაცგიშო! მერე ამ წვიმაში, ჭექა ქუხილში! წავალ დედაჩემს შევატყობინებ. (ალბერტი შემოდის) ახ! ეს ვინ არის?

ალბერტი. ნუ გეშინიან ჩემო საყვარელო, მე მოვსულვარ საკითხავათ, ეს არის მთის მირის ქოხი?

ჟორჟერტა. დიახ, ეს გახლავთ,

ალბერტი. ჟორჟის ქოხია მაშ ესა?

ჟორჟეტტა. დიახ ბატონო. ამის მეტი ქოხი არსად არის აქა და ეს ქოხი ჟორჟისაა..

(ალბერტი იხდის ქუდს, შეწუხებულის სახით ოფლს იწმენდს და ჯდება.)

ალბერტი. მადლობა შენთჳს ღმერთო. რომ მოვაგენი! რა საშინელი სიღარიბეა! (ჟორჟეტტას). გამიგონე, სასურველო. სად არის სახლის პატრონი?

ჟორჟეტტა, ეს არის ახლა გავიდა შინათგან.

ალბერტი. ცოლი სადღაა?

ჟორჟეტტა. დედაჩემი შინ გახლავთ... აგერ იმ მეორე ოთახში.

ალბერტი. როგორ! შენ განა იმათი ქალი ხარ?

ჟორჟეტტა. დიახ ბატონო! მე ჟორჟეტტა გახლავარ ამალიას ქალი.

ალბერტი. ღმერთო! ეს რა მესმის! (მიიყვანს ყმაწვილს, დაისვამს კალთაზედ და ეხვევა. მოისმის ამალიას ხმა, ჟორჟეტტას ეძახის.)

ჟორჟეტტა. აგერ დედაჩემი; მე მეძახის.

ალბერტი. დედა! (დგება, ჟორჟეტტა გარბის). არა, უეცრად არ უნდა შევატყობინო, ამდენის ხნის ტანჯვის და მწუხარების შემდგომს, უცებ მხიარულება აწყენს, ოჰ ღმერთო, აგერ ისიც მოდის!

გამოსვლა 12.

ალბერტი, ამალია და ჟორჟეტტა.

ამალია. უცხო კაცი!.. სად არის მამა ჟორჟეტტასი?

ჟორჟეტტა. ის გლახა წაიყვანა და სადღაც წავიდნენ.

ამალია. იქით ოთახში შედი შვილო. (ჟორჟეტტა გადის.)

ალბერტი. ჩუენ ორნი ვართ ერთად!... ღმერთო შენ მამეცი ღონე!...,.

ამალია. ძრიელ მიკვირს უპატივცემულესო მგზავრო, რომ თქუენ-ნისთანა დიდი კაცი კადრულობს და ამაღამ აქ მობრძანდება ჩამოსა-ხდომათ; და უფრო ეს მიკვირს, რომ მე მკითხულობთ.

ალბერტი. მაგისი მიზეზი გახლავთ ბატონო ერთი შემთხვევა!.... არ გეცნობათ ბატონო ჩემი სახე?

ამალია. განა თქუენ გიცნობთ?

ალბერტი. მგონია ბატონო!... გიცნობთ ბედნიერის ცხოვრების დროს.

ამალია. ბედნიერი ცხოვრების დრო? განა ბედნიერი ცხოვრება მქონია როდისმე.

ალბერტი. (ართმევს ხელს ამალიას, მიაქვს პირთან საკოცნელათ, ამალია გაკვირვებული გამოსტაცებს). მე მახსოვს ჩუენს სამშობლო ქვეყანაში!...

ამალია. ჩემს სამშობლოში! დიახ! იქა, ვიყავი ბედნიერი, ამისა-თჳს რომ მე იქ, მაშინ მყვანდა კარგი შვილი. (უყურებს ყურადღებით და ლმობიერათ ალბერტის სახეს.) როგორ გახსოვთ თქუენ ეგ.... თქუენ ჯერ ყმაწვილი კაცი ხართ, და ეგ ამბავი დიდი ხანია,.. ჩემის სამშობლოდგანა ხართ?

ალბერტი. დიახ, იქიდან გახლავარ.

ამალია. ჩემის სამშობლოთგან!

ალბერტი. მე მოგიტანე ამბავი ერთს ყმაწჳლ კაცზედ...

ამალია. ახ! ჩემ შჳლზედ განა?... ღჳთის გულისათჳს, მიბძანეთ ჩქარა: ცოცხალია თუ არა?... თქჳენ თჳთან ნახეთ თუ არა? მომითმინეთ!... მომითმინეთ!..., ოჰ, ღმერთო! თქჳენი წლოვანება... თქჳენი ცრემლები.... შემიბრალეთ... ნუ მომატყუებთ... თორემ მოვკვდები თქჳენ ფეხ ქვეშ.,...

ალბერტი. ოჰ! მე მსურდა დამშჳდებით შეგეტყუოთ ყველა, ღონე აღარ მამდევს შევიმაგრო საკუთარი ჩემი გრძნობა. ის შჳლი, რომელზედაც აგრე სწუხდებით და, რომლისათჳსაც ტირით გულ-მხურვალედ გიდგათ ახლა თვალთწინ, საყუარელო მშობელო!....

ამალია. (მივარდება და მოეხვევა ყელზედ). ახ! ეგ შენა ხარ შვილო! შენა! ჩემი ალბერტი. მრავალ-მოწყალეო ღმერთო, რამდენი ტანჯვა და მწუხარება ავიტანე და ერთხელ არ დავმდურებივარ შენს წმინდა განგებას, შეისმინე ჩემი ვედრება, ნუ მამკლავ სიხარულით, რომ პატარა ხანს უყურო ჩემს შჳლს!

ალბერტი. საყვარელო, კეთილო, უბედურო დედავ! მე მოველ, ბოლო მოუღო შენს ტანჯვას, მწუხარებას და ცრემლებს. მე მომიტანია თქჳენთჳს სიმდიდრე და ბედნიერება.

ამალია. მე არაფერი არა მინდარა შჳლო, შენის მეტი,—ახლა ბედნიერი ვარ, მდიდარიც, ამისათჳს, რომ მე მყავს მოსწრებული ვაჟი შჳლი! ხო აღარსად წასვალ და ყურებით გამაძღობ შჳლო!

ალბერტი. თავის დღეში აღარ მოგშორდები დედავ!

ამალია. თავის დღეში!მადლობა შენთჳს ღმერთო!..როგორ მაგენი ამ ალაგს, ან ამ ქოხსა?

ალბერტი. შორს მოვა ამაზედ ლაპარაკი დედავ; მხოლოდ ამასვე გეტყჳ; მამა ჩემი რომ გაიქცა და შენც თან წამოგიყვანა, ბიძა ჩემმა გაუგზავნა სამძღვარ გარეთ სასწავლებელში, სადაცა კურსი შევასრულე ჩინით, როგორც მიყურებ ახლა, მოველი ისევ ბიძასთან, ყოველი თავისი სიმდიდრე მე მიანდერძა, ამ ახლოს ხანში გარდაიცვალა; მინამ ის ცოცხალი იყო; ვერა გბედავდი შენს მოძებნას, რაკი მოკჳდა, მოველი შენთან,—ახლა წავალთ და ვიცხოვრებთ მდიდრად, ბედნიერებით.

ამალია. მაშ აღარა გვყავს, კეთილი ბიძა! ალბერტჯან! ნეტა

მოგვიტყვა ჩვენი დანაშაული სიკვდილის დროს?

ალბერტი. ოჰ, ჩემო მშობელო; მეტად უყვარდი შენ. ხშირათ გვითხულობდათ; მაგრამ ვერას გზით ვერ შევიტყეთ, თუ სად იმყოფებოდით. დიდი ხანია მეც დავეძებ, და ახლა მადლობა ღმერთსა, როგორც იყო გიპოვნეთ.

ამალია. მოიცადე, ხომ ნახე შენი და?... ჟორჟეტტა!

ჟორჟეტტა. (შემორბის.) რას მიბძანებ დედაჯან?

ალბერტი. ჯერ ნუ ეტყვი დედავ....

ამალია. მოდი აქა. (ჟორჟეტტას ხელს აძლევს ალბერტს.) ოჰ, რა ბედნიერი ვარ ახლა!

ალბერტი. ჩვენ ყველანი ბედნიერნი ვიქნებით. მადლობა ღმერთსა, ახლა მდიდარი ვარ. ამას გარდა, ვითხოვე მთავრობას და აპატიეს მამა ჩემს თავისი დანაშაული.

ამალია. იქნება მართლა! მაშ კიდევ მეღირსება ჩემი სამშობლო ქვეყნის ნახვა,

ალბერტი. უეჭველათ. ახ! რა მოუთმენლივ მოელი მამა ჩემს!

ამალია. მაგრამ რას ველით? მოვძებნოთ თითონ ჩვენ... (შედგება). არა! ის იქ არის, — ვარნერი და ის წყეული რა ნახავს ჩვენს ბედნიერებას, უკან დაგვედევნება. არა! თავის დღეში არ უნდა მივაკარო ჩემ შვილს. უნდა უთხრა ჟორჟს როგორმე თუთონ მოიშოროს, მაგრამ სად არის? ახლა ღამეა. წვიმა!... მაგრამ იმე მხიარულათა ვარ, რომ არაფრისა არ მეშინიან (ალბერტს) ალბერტ! მოიცადე აქ, წავალ და მამასაც მოგგვრი.

(ამ ლაპარაკში ჟორჟეტტას თეთრი ფულით სავსე ქისას აძლევს ალბერტი; ჟორჟეტტა ერთიან აბნევს მიწაზედ.)

ალბერტი. მეც წამოგყვები.

ამალია. არა. შენ შინ დარჩი. (ჟორჟეტტას). ჟორჟეტტა! აქ იყავ შვილო და შეაქციე, ჩვენი საყვარელი სტუმარი. ჩვენი სახლის მეგობარი. (გავა.)

გამოსვლა 13.

ალბერტი და ჟორჟეტტა.

ალბერტი. საყვარელო ჟორჟეტტა, ხომ არა გაქვსთ საწერ-კალამი?

ჟორჟეტტა. იქით ოთახში გახლავთ, თუ გნებავთ მოგართმევთ; ან არა ჲ იქ მიბრძანდით, იქა თბილა. ბუხარი ანთია.

ალბერტი. მაშ შენც მამყევი.

ჟორჟეტტა. მაშ მოგყვები. ჩემ ქელ-საქმეს მოვიტან ჲ იქა ვქსოვ შენ ახლოს. (ალბერტი გადის; ჟორჟეტტას ქელსაქმე გააქვს; ამ დროს დაიქუხებს; ჟორჟ ჲ ვარნერი შემოდიან. ქხენი შეაყენებს ჟორჟეტას, რომელიცა მიეგებება მამას.)

გამოსვლა 14.

ჟორჟი, ვარნერი ჲ ჟორჟეტტა.

ჟორჟეტტა. შენა ხარ მამაჯან?

ვარნერი. (რა დაინახავს ქუდსა ჲ პალტოს ალბერტს სტოლზედ). ეს რა ამბავია?

ჟორჟეტტა. ჩუმათ მამაჯან! ჩვენთან სტუმარია.

ჟორჟი.? სტუმარი, მერე ვინა?

ვარნერი. (რა დაინახამს სტოლზედ ფულს). ფულები!

ჟორჟეტტა. დედამა თქუა, ჩვენი ხსნის მეგობარი არისო. აგერ აი იმ ოთახში ზის, უყურე.

ჟორჟი. ავიცარი! ეს რასა ნიშნავს?

ვარნერი. ჟორჟ! უყურე, ეს ფულები მგონია იმისია.

ჟორჟეტტა. არა, ჩემია. ეგ ფულები მე მაჩუქა.

ჟორჟი. გაჩუქა! მაშ სჩანს მდიდარია?

ჟორჟეტა. ძალიან. წელარ იძახდა, დიდი სიმდიდრე მაქვსო.

ჟორჟი ჲ ვარნერი. დიდი სიმდიდრეო!

ჟორჟეტტა. აი, ამ ბუმაჟნიკში, ბევრი ფულებია!

ჟორჟი. საიდან მოსულა ეგ კაცი!

ჟორჟეტტა. არ ვიცი. დიდხანკი ელაპარაკებოდა დედასა.

ჟორჟი. სად არის დედა?

ჟორჟეტტა. შენ საძებნელად წამოვიდა.

ჟორჟი. მარტო... წავიდე მივხედო... (უნდა გავიდეს)

ვარნერი. (დაიჭერს ჲ არ გაუშვებს). მოიცა! (ჟორჟი შედგება, ფულებს უყურებს, ჟორჟეტტას უნდა შევიდეს მეორე ოთახში, ვარნერი არ უშვებს). მოიცა ქალო! ასე სჯობია, წახვიდე გარეთ ჲ

უყურე, როცა დედა შენი მოდიოდეს, შეგატყობინე. (ჟორჟეტტა გაჰყავს გარეთ, რომ დაბრუნდება მაგრა დაჰკეტავს იმ კარებს, სადაც ალბერტია. ჟორჟი უძრავათ დგას). ჟორჟ! ამაზედ კარგს დროს ვერ ჩავიგდებთ, რომ ვლაპარაკობდით ფული საჭირო არისო იმ საიდუმლოებისათვის, აი ეხლა ფული.

ჟორჟი. (შეწუხებულის სახით და უძრავათ). კარგს დროს!

გარნერი. შეუდგეთ ჩქარა!

ჟორჟი. არ მესმის რას ანბობ?

გარნერი. სტყუი. კარგათ გესმის რასაც ვამბობ. უყურე კარგა ჩუ́ნ მგელ-მულ ტანისამოსს... იმ პორტმანში რამდენიმე ასი თუ-მანია.., ერთი ხანჯალი შიგ თავში პატრონს და სულ ერთიან ჩუ́ნი იქნება!....

ჟორჟი. არა! მე არ შემიძლიან. სისხლი ძარღვებში მიცივდება!

გარნერი. აი შე მშიშარავ! ეს მგზავრი იმაზედ საშიშარი სომ არ არის, ახლა რომ ღრმათ ჩავთვალით?

ჟორჟი. რაც გინდა შენ ისა ჰქენი, მე კი აღარ მამდევს ღონე.

გარნერი. კარგი! მე მარტოდ კარგათ შემიძლიან, მაგრამ რაკი და-გიძახო, მამეხმარე კი. (იღებს დიდ დანას). მოხვალ თუ არა?

ჟორჟი. მოვალ!

გარნერი. ჰა, უთუოთ. (შედის ალბერტის ოთახში. ძალიანი დაიქუ-ხებს; მეხისაგან ცეცხლი ეკიდება თივას და ქოხს;ქარი და ძალიანი წვიმა.)

ჟორჟეტტა. (შემორბის). მამაჯან, ქუხს, ქოხი იწვის!

ჟორჟი. (იჭერს ჟორჟეტტას.) გარნერ! შედექი!

გამოსვლა 15.

ისინივე, ამალია, ალბერტი, გლეხ-კაცები და სალდათები.

გარნერი გამორბის პორტმანით და ჰკეტავს კარებს. ცეცხლი თან და თან ემატება.

ჟორჟი. გლეხ-კაცები და სალდათები მოჩანან მთის წვერზედ.

გარნერი. უგუნურო! რათ შემაყენე! ერთი დაკვრა ,უნდა მომეკლა. ვერ მოვასწარი,ცოტათი კი დავჭერი; მაგრამ ვეღარ გამოვა, ცეცხლ-ში დაიწვება. აი პორტმანი, ჩქარა გავიქცეთ!

გამოსვლა უკანასკნელი.

ჟორჟი, გარნერი, ამალია, ალბერტი, ჟორჟეტტა, ოფიცარი და სალდათები.

ამალია. ჟორჟ! ჩუენთან მოდიან, შენ დასაჭერათ. ვიღაც მგზავრი უპოვნიათ მკუდარი და იძახიან ვითომც შენ მოგეკლას! სად არის ჩუენი შვილი? (გარნერი ქურდულათ გაიპარება.)

ჟორჟი. შვილი! სად? ვინ? რომელი?

ამალია. ჩუენი ალბერტი!... მანდ არის!... (აჩვენებს იმ ოთახს, სადაც ალბერტია!)

ჟორჟი. ოჰ, რა საშინელებაა! ჩემი შვილი!

(ცეცხლი ედება მთელს ქოხ-მოხობას, ჟორჟი ამტვრევს კარებს, შევარდება ცეცხლში; ამალია უნდა შეჰყვეს თანა, მაგრამ არ უშვებენ; ჟორჟ გამოვარდება უკანვე, ხელში მოაქვს ალბერტი და დაეცემა ამალიას წინ.)

ჟორჟი. აი ეს.. ცოცხალია!.. ჩემი შვილი!.. ეგ შენა ხარ!.. შენა ხარ შვილო ალბერტ? ჩემი დაღუპვის დრო მოვიდა!...

ალბერტი. მამაჩემა დამიხსნა... მაგრა სად არის ის ავაზაკი, რომელსაცა უნდოდა მოვეკალი?

გარნერი. (შემორბის უკანვე, თან მოზდევენ გლეხები და სალდათები). ჟორჟ! მიშველე ვიღუპებით!..

ჟორჟი. შვილო! მომეხვიე უკანასკნელათ. გარნერ! მე დაგიმტკიცებ შენ ჩემს მეგობრობას. წავიდეთ! (შეიტაცებს ცეცხლში.)

გარნერი. საითკენ, ჟორჟ! საითკენ!

ჟორჟი. ჯოჯოხეთში!...

(შესცვივდებიან რა ცეცხლში. მთელი ქოხი იქცევა. სალდათები შესცვივდებიან და ცოცხალ მკუდარს გამოიტანენ. ჟორჟს მისცვივდებიან: ცოლი, ვაჟიშვილი და ქალი.)

ჟორჟი. გათავდა! ვკვდები!... უბედურებო..,. თქუენ ყველანი ჩემთჳს დაიტანჯენით. ჩემი სიკუდილით დაგიბრუნდებათ ბედნიერება და მშვიდობაც. ოჰ, საყუარელო შვილო ალბერტე. ერიდე ქაღალდის თამაშობას?.. ქაღალდის თამაშობითგან წარმოდგება ყველა ბოროტება.. მრავალმოწყალეო ღმერთო, შენ მაპატიე ჩემი დანაშაული!..

(კვდება. იმის გარეშემო ხალხია შემოხვეული.)

(თ. ალ. ჭავჭავაძის ლექსებიდგან.)

ღიმილმან ლალთ კარ გაღებით მარგალიტ მწყობრი აჩინა,
ბაგე ზრახვისა დამწყობი, გრძნობის ქმილა ადინა.
სილადე კრძალვა ნარევმან, ნაზად ხშეკალნი განჭვინა,
თვალთა გამკრთალთა, გულსა ჰრქვეს: მსგავსი იმისა სად, ვინა?

ჰხამს ტრფიალსა საყვარელი სულად ედგას, მით ჰსცხოვრებდეს;
მოშორვებას ვერა სთმობდეს. ლაწვთა მისთჳს დაილევდეს;
გულს სურვილი ეგრძნობოდეს, ჭირთა ყოლა მითა ჰსძლებდეს,
ზოგჯერ ზრახვით განჰსცხრებოდეს, ხან ტრფობითა მიახლებდეს.

---

*
* *

თავის უფლებით მყის მივისწრაფდი.
ჩანგზედ გელჭყოფას ალტაცებითა,
და უშიშრებით გუნდრუკს უკმევდი
მუზთა მარადის დამონებითა.
როს ამა სოფელს მე სიტკბოება
მხურვა შემეხვა მე ტრფიალებითა
ვერ ვასწარ მას ზედ ბაგით წაფება,
მითი განმიქრა უხილავ ძალით!
ვით მოჩვენება გრძნეულებისა,
ვითა ოცნება, ვითა სიზმარი...

დრონი განცხრომის ნეტარებისა,
განმიქრნენ ვითა ღამის ლამპარი.—
თუმც ჩანგი ჩემი აწ არს მოშლილი,
გარნა ოდესმე მიყვარს გლახ ჟღერა,
ჟანგ მოკიდებულს სიმზედ ტირილი,
არ სიხარულის ვაისა მღერა.—
მაშ რაჲ გსურს სმენა ხმის მგმუნვარების
ხმა უცხოს კაცის და ველურისა,
ხმა შეაზარი ნარნარ ყურისა.
ნუ ჰგვე მწირი შეგებრალების,—
ნამდვილ ვიხილე სიბრალულისა,
ცრემლნი თვალთ შინა გაბრწყინვებულნი,
მით მსუბუქ მექმნა ტვირთი გულისა,
და მექმნა ჭმუნვა განქარვებული.
ესრედ სიკჳდილი პატიმარს გაუტკბილდების.
თუ მჭვრეტთა შორის ერთს გვამს მაინც შებრალდების.

მასალები ქართულის ისტორიისა.

სისხლი ჯაფარის ძის სვანთაგან მიცემული.

სასისხლე საბუთისა, მიცემულისა დროსა მეფის ალექსანდრის და დადიანის მამისასა სვანთაგან რაჭველთ ჯაფარიძეთადმი, რომელსაცა სიმკვლისაგამო დასაწყისში ნაწილი ქაღალდისა, არღარა აქუს.

მოუხედით და თქჳენნი ბიძანები თვალით და ივანე მოგვწივნეს და შეგვებნეს მოგვერია ცოდვა ეშმაკის მანქანებითა შემოგვერივნეს მერმე დაგვიწყეთ მტერობა თქჳენ ჯაფარიძემან სარგის და აღარც გაგვიშვით საჯამაგიროდ აღარც რაჭას და ლეჩხუმს სამუშაოდ გამოგვიშვით შვიდს წელიწადს არე ვიყვენით რომე სრულიად სვანეთის ქვეყანასა საჩიარებელს ველარ ვიმოვებდით და არც ვის მარილის გამო გვინახავს მერმე მივეგზავნდა და აღარა ღონე გვქონდა შევიყარენით და ოთხასი საშალნე ცხენი წამოვიტანეთ თჳთოს ცხენსა ოროლი კაცი წამოვჰყევით წამოვედით ლეჩხუმს და რაც საკაწრო გვასხლდა გავჰყიდეთ და ვისაქმეთ აჰკიდეთ ღვინო და წამოვედით თავი მოჭმული გვეგონა აღარას მოველოდით თურმე გუჯაძე და ლაშხიშვლი შემოჩენილი გვყჳა როგორც ჩუენ საკაწროდ ჩამოვედით გუჯაძესა და ლაშხიშვლს თქჳენთჳს კაცი გამოეგზავნა თქჳენ სრულიად მოვარველნი შეგვყარა და არე მოსულ იყვენით რესტამიგა რომ ჩუენ თქჳენნი მოსვლა ვერათ საქმით ვერ შევიტყევით წინათ თქჳენ დაგვხვდით უკანით გუჯაძე ლაშხიშვლი ინასარიძე და გარეჯანიძე მოგვწივნეს გავიყავით წინა უკანა და დაგვხოცეთ და ამოგვ-

წუიტეთ რვასის კაცისაგან ოთხასის მეტი აღარ მოვრჩით ეს ყველა კაცნი დაგვხოცეთ და ოთხასი ცხენი ყველას ღვინო ეკიდა და მისის საპალნით წაგვართვით ამას გარეთ სხუა მრავალი მტერობა გვიყავით და ვერსით საჯამაგიროდ ვერ გაგვეპარენით ამისი ღონე ვერ დავდევით რომ გზა გვეშოვნა ასი სპანი დვალეთისაკენ გავიპარენით კახეთს საჯამაგიროს და წავედით მის წასვლა ვერ შეგვიტყუევით და შეგვიტყუევით და მერმე შინასაკენ რომ შემოვიქეცით იმავ დვალეთზედ წამოვედით დაგვხვდით გლოლას და ჭიორსა შიუაზედან და მოგვიჭირეთ ბედითა დაგვცვარცვეთ ასის კაცისაგან ორი მოამბედ გაუშვით სხუა ყველა ტყვეთ წაგვასხით ჩუენის მონაგებიანად ონს მიგვასხით საქონელი სალაროში შეიტანეთ და ჩუენ დარჯილნი საბრალონი სადოროესა და საბატეში შეგვყარეთ საალდგომელი დალმა ენკენის თვემდის იმაშიც ტყვედ ვიყვენით ღონე აღარ გვქონდა დავიხსენათ თავი და თუთო კარგი აბჯარი ჩუენის თავის სახსრად გამოვიღეთ და გარჯილი სული ამით შევირჩინეთ სხუა სახდენი ჭირი და მტერობა გარდაგვხდეგიდა კაცის ენა როგორ იტყვის ვიყვენით სრულიად ეცერს აქვთ რაც ჯანეთი არის თორმეტს წელიწადსა ასრე შეწყდეულნი რომ ვერც კახეთისაკენ ვიშოვეთ საჯამაგირო გზა ვერც სამცხისაკენ და ვერც გურიისაკენ ვერც ვიმჩირეთ და მერმე შევიყარენით სრულიად სვანთ ჩენილები და ვქენით ვაზირობა მივედით ეცერს რუჩაგიანსა და დადიშკელიანსა შევეხვეწენით და დადიანთან გაგვგზავნეთ შევეხვეწენით დადიანს მამიასა და ცხრა ჯორი გაუგზავნეთ ამისი აჯა გვთხოვეთ რომ მეფეთ მეორეს პატრონს ალექსანდრესთან აჯა ეთხოვნა ღმერთმან გაუმარჯოს პატრონს დადიანსა ჭყონდიდელს გაგზავნა და შეხვეწოდა ალექსანდრე მეფესა ეაჯებინა და ეპატიებინა პატრონის დადიანისათჳს და ასრე ებძანა მეფეთ მეფესა პატრონსა ალექსანდრეს თუ ჯაფარიძისთანა თავადი რაჭას არა მყავსო თუ ჯაფარიძის სისხლს გარდიხდიანო სვანთ გზას მივცემო და ჯაფარიძეთაც ჩამოვახსნინოთო თუ არა და ჯაფარიძის საქმეს არ გარდასწყვეტო ჯაფარიძენი უბრალოდ დახოცესო მწვედ მძლავრნი კაცნი არიანო და სრულიად მრაჭველნი და ლეჩხუმელნი დამეკარგვიანო და თუ ამ ჯაფარიძის საქმეს გარდასწყვეტენო მოიყვანე კარსა და რა რიგადაც სჯობდეს და ემართებოდნენ ჯაფარიძესაც გარდაუწყვიტო და შემოვიწყობთო ამაში გამოხდა ხანი და მივედით დადიანთან ირუ-

ლად ჩენილები წამოგვიძღვა თჳთან ბატონი დადიანი და ბებუთ
მივედით შეიქნა საქმობა და სანასმირე გვთხოეს ჯავარიძეთა დასხდეს
თჳთან მეფეთ მეფე ბატონი ალექსანდრე და დადიანი ბატონი მა-
მია ფალავანდიშჳლი ზვიადი ჭილაძე ლომკაცი ერისთავი კახაბერი
ამირეჯიბი რამინ და ფალავანდიშჳლი ფალავანდი ქნეს მოციქული და
სიგელიც მოატანინეს ჯავარიძეთა და მეტად უზომოდ დიდი სისხ-
ლი და სანასმირე ეწერა ამაზედან იანგარიშეს და სამასი კაცი მოუკლა
ჯავარიძეთა და სხჳა მრავალი ავი დამართებოდა ჯავარიძეთან სვან-
თა დაუდევით სიგელი სვანთა და გარდაისადეს და მოვაცემინეთ ლაშ-
ხეთს სოფელი და ციხე ზურიას ცხრა კვამლი კაცი და ერთი მომცრო
მონასტერი წმინდის გიორგისა თექვსმეტით ჯვარ ხატითა ოთხ თა-
ვითა სანწინასწარმეტყველოთა სამოციქულოთა მარხვანითა ტიბიკონი-
თა სტოდიელითა ამას გარეთ მოვეცით ოსეთის პირად მთიულეთს
სიდური ან ოცი გლეხი ერთი კარგი ციხე ორი მონასტერი ერთი
დიდი გუმბათიანი მთავარ ანგელოზით მონასტერი ორით დიდით
ოქროს ხატითა ორმოც და თვრამეტით ოქროსა და ვერცხლის კან-
დლითა მისით სამონასტროს წიგნებითა დიდით გულანითა ოთხ
თავითა სამოციქულოთა სანწინასწარმეტყველოთა მარხვანითა მეტაფ-
რასითა დავითითა დავითის თარგმანითა ოთხ თავის თარგმანითა
ენქერონის წინამძღვრითა მეორე წმინდის გიორგის სვანის დიდი
სინი მონასტერი ოცდა თორმეტით ჯვარხატითა და რაც სამონასტე-
რო წიგნი არის მით სრულიად გათავებული და საბატონო დეკანოზი
წინამძღვარს ოცი კვამლი კაცი და დეკანოზს რვა კვამლი კაცი ამას
გარეთ იქით სიდურს ერთი აზნაურ შჳლი სოსავიძე მისით ცხვრითა
თორმეტით კვამლით კაცითა სხჳა მთიულეთს ციხე და სოფელი
ცარიელი ოც და ოთხი კვამლი კაცი ერთი ეკკლესია თხუთმეტით
პატიოსნით ხატითა და მისით წიგნებითა სრულობით შემკობილი
თევარეშოს თექვსმეტი კვამლი კაცი და ციხე სხჳა და არიშიძე ლო-
მი მისით ციხითა ორმოცით კვამლით კაცითა დედ ქალაქსა კარგი
საბატიო გუმბათიანი საყდარი ჯვარცმისა საეფისკოპოზო მისით
მოთვალმარგალიტულით ომფორითა შემკობილი რაც ეფისკოპოზსა
და იმისთანას საყდარს ეკადრების იმისთანას წიგნებითა სრულად გა-
თავებული ასის კვამლით კაცითა და ორი აზნაურიშჳლი გაგამჳ-
ლები მისით ციხითა და სამოცდა თორმეტით კვამლით კაცითა შო-

დას წმიდის გიორგის ეკკლესია და სოფელი ოც და ხუთი კვამლი კა-
ცი და ციხე ჩუეშოს ციხე და მჭედი გლეხი ჭიორას ციხე და სოფელი
თექვსმეტი კვამლი გლეხი ბუბას კარგი ეკკლესია ციხე და სოფელი
ეკკლესია კარგის ჯვარსატითა ოცდა ხუთი გლეხი სხუა ღების შესა-
ვალი სოფლები ჯუმლად ოთხასი კომლი კაცი სამი საშავარდნე სხუა
ყოვლის დღის სანადიროები საჯინჯე ზოვასითო ვირტიშო ედენ
გილოინა რიონის სათავე სხუა სანადიროები არჩვისა ამ მამულს გა-
რეთ სამასი სამანქანური და ზედალური აბჯარი სამასი ვერცხლის ჭუ-
რჭელი სურათებში ჩორდათო და თასი ვერცხლის ტაშტი წურწუმა
გსით მეფის ნაპარევი ამას გარეთ სამასი დიდი და სუბუქი ქვაბი სა-
მასი ჯორი სამასი კარგი ულაყი ამას გარეთ ველარა ამოგიყვდით
არ შეგვკვერდით ამისათჳს რომ მე თქჳენი სწორი კაცი სვანეთს არ
იყო და სხუა ველარა ღონე ვქენით სრულად სვანითა ეცერს აქათ
ყველამან თქჳენი ბაჟი დავიდევით სრულად მულასხელთა და მულა-
სის შესავალთა ლატარელთა და ლატარის შესავალთა უშკულელთა და
უშკულის შესავალთა აწ მოგვისსენებია გლოლას ზედათ ცენას იქით
ოსეთს აქათ სრულად მთიულეთის თემი მათით სამართლიანითა
მთითა ბარითა საყდრებითა წყლითა და წისქვილითა სათევზითა სა-
ნადიროთ ველითა სათიბითა მიწითა მიმდგომითა მართლით სამარ-
თლიანითა საქებრითა და უქებრითა მისით ყოვლითა გქონდეს მკვი-
დრად და სამამულოდ თქჳენ ჯაფარიძესა სარგოსს აბესალამს და ვა-
მიეს ვინც ეს მოგიშალოს და შეგიცვალოს წყეულიმც არის აქა და
მერმესა მას საუკუნისა ორთავე ცხოვრებათა შიგან ანთებისაგან ან
ბატონისაგან სადამდის სვანეთი იხსენებოდეს ან ჯაფარიძის გვარი იყოს
ან იხსენებოდეს ვინც შეგიცვალოს და ან მოგიშალოს შემც იცვლების
ქრისტიანობის სჯულისაგან რისხავსაც მამა ძე და სული წმიდა აწ
გქონდეს მკჳდრად და სამამულოდ ჭიდროთა ზედათი და გლოლას
ზედათი სვანეთს იქით, ოსეთს აქათი და სრულად მთიულეთი ოთ-
ხასი კვამლი აზნაურ მჭედლიანად გლეხიანად სრულად ეცერს აქათ რაც
სვანი იყოს ყველან ბაჟი გიბედნიეროს ღმერთმან როგორც ნასის-
ხლისა მართებდეს ვინც ან ამ მთიულეთს დაგიქცილოს და ან ბაჟს
ამისი პირისა ჭმასუსის გამცემნი ჩუენ სრულად სვანნი ვიყვნეთ
ამას გარეთ სადავოდ მოგახსენეთ სამასი ნებიერი ათასი ცხვარი და

ჩამასი ლიტრა სამთელი დაიწერა წიგნი ესე ქრონიკონსა რკ ჲ ერთსა გელითა ფრიად ცოდვილისა ფალავანდიშვილის ფაქანდისათა მოწამეცა ვარ ამ საჭმობისა.

შ ა ქ ა რ ი.

მოგვითხრობენ, რომ ერთხელ დედა და შვილი დასეირნობდნენ მინდორში და ზედ წაადგნენ ლელსა. ამათ გვიანბეს, რომელ შაქრის ლელი ამოვა და გაიზრდება სიმაღლით ორი ან სამი ადლი, და სიზრ-ქით არის ორი თითის დადება. შაქრის ლელი სწორეთ ლელსა, ჭილ-სა ანუ ლერწამსა ჰგავს; აქუს ბევრი მუხლები; თითო მუხლი აქვს ერ-თი მტკაველი და ორი გოჯი. ჰსწერენ, რომ შაქრის ლელი პირველად იპოვნეს ივიციის კუნძულში, რომელიცა არის ახლო საშვალ-ქვეყნის ზღვისა. შაქრის ლელი მოდის: ევროპაში, აზიაში, აფრიკაში და ამე-რიკაში, საკუთრად ბრაზილიაში, (რომელიცა ამერიკის ქვეყანა არის); ეგრეთვე ისპანიის სამთავროებში: გრანადასა და მურციაში და ორთა-ვე სიცილის საკემწიფოებში, ლელი დამწიფდება ექვს თვეზედა, ხან და ხან ათს თვეზედა; მაშინ დასჭრიან ლელსა და გამოსწურვენ წვენსა; წვენს კარგა ხანს ადუღებენ, ერთის ქვაბიდგან მეორეში გადაასხმენ და დასწმენ-დენ ნაცარტუტითა;ნაცარტუტსა აკეთებენ ნაცრითა და კირითა; მაშინ მიი-ღებს იმ ფერსა, რა ფერსაც ჩვენა ვყიდულობთ შაქარს. როცა შაქ-რის წვენსა ყალიბში ჩაასხმენ, მაშინ გამოდის ტკბილი და მოშავო ფე-რის წვენი, რომელსაცა უძახიან ბადაგსა ან შაქრის ნამირალსა. შაქა-რი, თუმცა საჭმელად ტკბილია, მაგრამ კაცის კუჭში დააგდებს რაღასაც სიმყავის გემოსა ამისთვის მომატებული შაქრის ხმარება დიდი ზარა-ლია და ცუდი. კარგად იქმონენ ის მშობლები, რომელნიცა არ შეაჩ-ვევენ ბავშვებსა შაქრის ჭამასა. ამისთვის რომ შაქარი წაახდენს კბილე-ბსა და ჰსწყვინს კუჭსა (სტომაქსა). აწინდელნი განათლებულნი ევროპი-ელნი ხალხნი აკეთებენ შაქარსა მჭარხლითა, რომელსაცა უძახიან შაქ რის მჭარხალსა, რომელიცა მართლად ჰგავს მჭარხალსა.

ყ ა ვ ა.

ყავა ამოდის მარტო ემენის მთებზედ. ხაბეშეთს ... ას, სა-ნანსა, ღოლანანსა და ბეტელფაღეში. ადგილი ... მას-ლობელად მეკკა ქალაქის არაბისტანში (არაბიაში). ყავის ხე არის სი-მაღლით თორმეტი გრე (გოჯი) და სიმსხით ოთხ არშინ ნახევარი ანუ თუთხმეტი ფუტი. ყავის ხე, რამდენიც დაბერდება, იმდენი ქვეითი ტო-ტები გაუმრუდდება და გაუგანიერდება, მაშინ დაემსგავსება მრგვალსა ფარ-სა, ანუ გუმბსა; ქერქი აქვს თეთრი და თხელი; ფურცელი უგავს ლი-მონის ხის ფურცელსა, ცოტა წვრილია. ყოველს წელიწადსა აყვავდე-ბა და მოისხამს ხილსა. ყვავილი აქვს თეთრი და სუნი სუნელებისა (ნელსაცხებელისა); გემოთი არის მწარე. ყვავილი ფურცელ ქვეშა აქვს და როცა ჩამოსცვივა, იმის ადგილსა გამოჩნდება მწვანე ხილი, დამ-წიფდება და გაწითლდება, დიდი ალუბალის ოდენი შეიქნება და არის ნოყიერი და გემრიელი. ხილსა ყავისასა შუაში აქვს, კურკის მაგიერად, ცერცვი, რომელსაცა უძახიან ყავასა; ქერქი აქვს წვრილი და თხელი, რომელიც გამაგრდება მზისაგანა. ყავის მწიფე ნაყოფი იხმარება თუხ-ლად. ყავას დარგვენ იქა, სადაცა ზრქელ-ჩრდილიანი და ნოტიოანი ადგილი არის; იმის გარშემო შემოუყვლიან თხრილსა, გაავსებენ წყლი-თა და ნიადაგ ამითი მორწყვენ. სამხრეთისაკენ დარგვენ ყავის ტოტებსა დიდს მუდუანს ხეს ქვეშა! წელიწადში სამჯერ მოკრეფენ ყავასა, ნამეტ-ნავად მაისის თვეშია . ყავის ხის ქვეშა ტილოებს გაუშლიან და ისრე დაბერტყენ. მერმე გაახმობენ მზეზედა და მარცვალს ორად გატეხვენ; მერმე კიდევ გაახმობენ და ცხრილში გასცხრილვენ. მედინა ქალაქის მკვიდრი აბდულოკადერი და მასთან მეტი მწერალი ბან-აბდ-ელი ლას-ტერი ორნივე არაბები, დასწერენ: ადენის მუფთმა სუსტმა ნახაო ზმარხეთში ხალხი, რომელიცა სვამდა ყავასა და იმანაც დაუწყო სმაო; იმან სწორეთ გამოსცადაო, რომ ყავა მოაშორებს კაცსა ძილსა, (გა-აფხიზლებს), დაამებს თავის ტკივლსა, გაამხიარულებს გულსა, მოაშორებს კაცსა დარდსა და მწუხარებასა (ჯავრს გადაჰყრის გული-დამ). ყავის სმა დაიწყეს მეცხრე საუკუნეში ესე იგი ქრისტეს შობი-დგან რვას წელიწადს უკანა. პირველად ყავის სმა შემოიღო მუფთმა არაბიაში (არაბისტანსა), მერმე ყაირში, მისირში (ეგვიპტეს) და ბო-ლოს დროს მთელს ევროპაში.

ზღვის კაცები.

ზღვის კაცი და დედაკაცი ადამიანსა ჰგავს, ამ ნაირად; ტანი აქვს ჩჳეულებრივი, სწორე სახე და ჭიპამდისინ ადამიანსა გვანან; აქვსთ მრავალი თავი, დიდი თვალები, პირის სახე სუქანი და განიერი. პრტყელი ლოყები, ძალიან თეთრი კბილები, ძალიან პრტყელი ცხვირი და სწორეთ გადაყრილი მხრებზედ თმები წყლის ფერი ან ცისფერი, ყომრალი და თეთრი წვერი მუცლამდისინა, ტანზედ თეთრი და რბილი სხორცი. ზღვის კაცებსა- მამაკაცსა ჰქვიან ტრიტონსი და დედაკაცსა სირინოზი, ამათი საიდუმლო ასოები ადამიანის საიდუმლო ასოებსა გვანან. დედაკაცებსა აქჳსთ მაგარი და ძალიან მრგვალი ძუძუები, როგორც გასათხოვარს ქალსა. მკლავები აქჳსთ ძალიან განიერი და მოკლე; ისე ეტყობა, თითქო იდაყვი არა აქჳსთო. თითები შუაში ძალიან განიერი აქჳსთ, და საცურავის ფრთების მაგიერად ხმარობენ. აუგს (საიდუმლო ასოს) ქვეით ზღვის თევზსა ჰგვანან და განიერი ბოლოჲ. ამათ ჰქვიან სხუა ფრივ სახელები: ნერეიდი და ამბიცი. ანგლიაში ათას ოთხას ოც და ათსა წელსა, იპოვნეს ქარისაგან გამოგდებული ზღვიდამ ზღვის დედაკაცი და მიიყვანეს ქალაქსა ჰარლემსა, რიგიანად ჩააცვეს და ასწავლეს ქსოვაჲ წინდისა, საჭმელსა ჰსჭამდა, რასაც ადამიანი ჰსჭამს; რამდენიმე წელიწადი იცოცხლა და ლაპარაკი ვერ ისწავლა. უნდოდა ნიადაგ ყოფაჲ წყალშია; ლაპარაკი იმისი იყო ყვირილი, მსგავსი მამაკვდავის კაცის გმინვისა. ანგლიის კაპიტანი შმიტი დასწერს; მე ვნახეო, ათას ექვსას თორმეტსა წელსა. ახალსა ანგლიაში, ძალიან შვენიერი სირინოზი, (ზღვის ქალი ანუ ქალ-თევზა), რომელიცა ძალიან ლამაზსა-ქალსა სიმშჳენიერეში არ ჩამოუვარდებოდა; ესხა ლამაზი ცისფერი თმა. მხრებზედ გადაშლილი; მაგრამ ჭიპიდამ ფესამდისინ ჰგვანდა თევზის ბოლოსა, ხოლო ხელის თითები ჰქონდა ტყავებით გაბმული, როგორც ბატის ფეხები. უფალი დესპონდი ამბობს. ჩემს დროს დაიჭირესო ზღვაში ერთი ქალი და ერთი კაცი; დედაკაცმა ორი წელიწადი იცოცხლაო და წინდების ქსოვა ისწავლაო. ვალენციელი ლუმას-ბოსკეტი დაჰსწერს: «მრავალთა იხილეთა თანა დასწრებით გამოვსცადეთ

ზღვის კაცები და ვნახეთ, რომ მუცელს ზევით ყველა კაცის მსგავსი აქვსთო.»

ჯუჯანი ანუ ქონდრის კაცები (დაბალი კაცები.)

ერთი პატარა კაცი, სახელად ნიკოლაოზ ფერრი, დაიბადა პოლია-კების სამეფოსა, სამთავროსა სალინისასა ქალაქსა პლეინსნასა შინა. დედ მამა ჰყვანდა ზომიერის ტანისა. ეს პატარა კაცი, რომ დაიბა-და სიგრძით იყო ოთხი გოჯი და წონით ერთი გირვანქა. ასეთი სუსტი იყო, რომ საყდარში მიიყვანდნენ ხოლმე ლანგრითა; დედის ძუძუს ვერა ჰსწოვდა. ამ მიზეზითა, რომ პირი ისეთი პატარა ჰქონ-და, რომ ძუძუს თავი დიდი იყო იმის პირზედა. ამის გულისათჳს ერთი თხა მოუყვანეს და იმის რძეს აწოვებდნენ პირშია, წლისა და ნახევრისა რომ შეიქნა ლაპარაკი დაიწყო; ორის წლისა რომ გახდა გაუკაცივით სიარული დაიწყო; იმისი წუღები სიგრძით იყო გოჯნა-ხევარი, ესე იგი ზომით თვრამეტი ხაზი. (თორმეტი ხაზი ერთი გოჯი არის). როდესაც ექვსი წლისა გახდა, მაშინ იყო ტანით თვ-რამეტი გოჯი ანუ ორი მტკაველი და ერთი გოჯი (გოჯი). პოლია-კების მეფესა სტანისლავსა მიესმა რა ამ ბიჭის გასაოცარი ტანი, ბრძანა და მიაყვანინა თავის სატახტო ქალაქსა ლიუნევილში და დააყე-ნა თავის პალატში. მეფემ სახელად დაარქვა იმ ბიჭსა ბებე. ბებეს ჰქონდა ისეთი გულის ყური, როგორც კარგს გაწვრთნილს ძაღ-ლსა. რამდენი ეცადნენ, მაგრამ გონებაში ვერ ჩააგდეს; ეტყობოდა, რომ უყვარდა მუსიკა და თამაშობდა კარგად. ერთხელ ის ქონდრის კაცი მინდორში წავიდა და ბალახებში შესულიყო; ბალახი იმაზედ მაღალი მოსულიყო. იმასკი ეგონა ტყეში დავიკარგეო; დაიწყო ყვი-რილი «მიშველეთ დავიკარგეო.» მეფის სტანისლავის ქალი თალმო-ნდა ზრდიდა იმ კაცსა და ვერაფერს ვერას მიახვედრა, მხოლოდ იმ ჯუჯას ბებეს გული შეუყვარდა მეფის ქალზედა. ერთხელ მეფის ქა-ლი ფინია ძაღლსა ხელს უსვამდა და ეალერსებოდა, მაშინ იმ ჯუჯამ ხელიდამ გამოსტაცა ძაღლი და ფანჯარაში გადააგდო; გაჯავრებულმა

უთხრა. «ჩემზედ მეტად ეგ რათ გიყვარსო-» თხუთმეტის წლისა რომ გახდა ტანით იყო თორმეტი გრე (გოჯი) და ნახევარი ანუ სამი მტკაველი, ოც და ერთის წლიდამ სისუსტე შეეპარა; პირის სახე და ძცევა ჰქონდა ბავშვისა, ხნითკი გვანდა ძალიან მოხუცებულსა, ის მოკვდა ოც და სამის წლისა. მაშინ იყო ტანით ერთი არშინი და ნახევარი გოჯი. ბებეს იმისთჳს არა ჰქონდა სრული გონება და არ იცოცხლა დიდხანსა, რომ ის დაებადა შვიდს თვეზედა დედასა დაორსულებითგან; და დედამა მობაზედ ვერა ფერი გაიგო, ამიტომ რომ ოთხი გოჯის ოდენი იყო, დედის მუცლიდამ რომ გამოვიდა.

იყო ერთი კაცი, რუსეთში, და იმას ერქჳა სახელი პეტრე დანილოვი, ლუბენის პოლკის ყაზახის შჳლი; სიმაღლე ქონდა ოც და ცამეტი წლისასა თორმეტი გოჯი და მეოთხედი (სამი მტკაველი). იმ ქონდრის კაცსა კელ-მკლავი არა ჰქონდა, მაგრამ იმას ება მხრებზედა ხორცმეტები წკეპლასავით. თავი შიგ კისერში უჯდა, ასე რომ ერთი გოჯის სიგრძე კისერი არა ჰქონდა; მაგრამ გონჯი კი არ იყო სახითა, ამას გარდა ჰქონდა დიდი ულვაშები, ასეთი რომ ყურესამდისინ სწვდებოდა, ხოლო გონება და გულის ყური კარგი; ფეხები, მრუდეები, რომ ეგონებოდა კაცსა განგებ მოუკაკვამთო. მუხლებში სახსრები არა ჰქონდა და არცა სრულებით კუთები. თითქო ფეხზედ ება ოთხი თითი სულ მრუდები; ორი თითი თითო ფეხზედ უმრავი ჰქონდა. დადიოდა ძალიან ჩქარა, მაგრამ რაკი დაეცემოდა, ვეღარ ადგებოდა, ამიტომ რომ ბარკლებში სახსრები არა ჰქონდა. ძალიან ჩქარა ჰსწერდა მარცხენა ფეხითა ლათინურად და რუსულად; ხატამდა კალმითა შვენიერად. იცოდა სიმღერა, თამაშობა ქაღალდისა და ჭანდრაკისა; ჰსწევდა თამბაქოსა და ჩიბუხში თითონვე სდებდა თამბაქოსა. ქსოვდა წინდებსა და აკეთებდა ხის წინდის ჩხირებსა. თითონ ისდიდა და იცვამდა წაღებსა და პურსა და საჭმელსა სჭამდა მარცხენა ფეხითა, და ყოველს საქმესა მარცხენა ფეხით აკეთებდა.

რომის იმპერატორსა მარკოზ ანტონიოსსა ჰყვანდა ჯუჯა ანუ ქონდრის კაცი, სიმაღლით იყო თორმეტი გოჯი ანუ ერთი წყრთა და მასხარაობისათჳს იმპერატორი ეძახოდა სიზიფოსსა (მასხარასა, სუმარასა). ვერავინ ვერ დაამტკიცებს რომ იყოს სადმე საკუთარი ქვეყანა ქონდრის კაცებისა: ამის დასამტკიცებლად მრავალს რასმე ჰსწერენ მრავალნი ისტორიკოსნი მეცნიერნი კაცნი, მაგრამ ჰსტყუიან

და თუმცა თჳთ იეზეკიილ წინასწარმეტყველი იტყვის, რომ ტვიროს (Тиръ ტირე) ქალაქსა შინა იყოს ძალიან ვაჭარა კაცი. მაგრამ ხა-ლხში ბევრი არის დიდიცა და პატარაცა.

გმირნი ანუ ფალავანნი (გოლიათნი.)

ყოველს საუკუნეში გვინახავს კაცნი ზესთა ბუნებითისა ძალისანი კარგისა და ცუდის სახისანიცა, რომელთაცა ვეძახით გმირებსა. მაგრამ ვერა რომელიმე ისტორიკოსი, ვერცა მცველი და ვერცა ასეთი ვერ დაამტკიცებს ამას, რომ იყოს გამარტოებით გმირების ქცევანი.

სოლონ, წიგნსა შინა, წოდებულსა პოლიჰისტორ. თავის მეხუ-თესა, ამტკიცებს, რომელ კრიტელთა ომის დროსა, იპოვნეს ერთი კაცი; და ის კაცი, როგორათაც იტყვიან იმის თვალით მნახველნი მეტელლუსი და ფლაკკი, იყო სიგრძით ოცდა ცამეტი წყრთა ანუ თექვსმეტი არშინი და ნახევარი ზომითა.

პლინიოს, ბუნებითსა ისტორიასა შინა თვისსა, მეშვიდე წიგნის, მეექვსე თავში. მოგვითხრობს, რომელ კრიტის ქვეყანასა შინა (კუნ-ძულია საბერძნეთისა კრიტი). მიწა იძრა და მთა გადმოაბრუნა, როდესაც მთა გასიეკეს ერთი ზეზედ-მდგომის კაცის ტანი (ხსეუ-ლი, გვამი) იპოვნეს; ის კაცი სიმაღლით იყო ორმოცდა ექვსი წყრ-თა ანუ რუსულის საზომით ოც და სამი არშინი. იტყოდნენ, რომ ის კაცი იყო გმირი ორიონი ანუ ოტისი. ისტორიკოსი თომ ტფელლუსი სიცილიის აღწერის წიგნსა შინა, მეოთხე თავში, ასე ჰსწერს: ათას სამას ორმოცდა ორში, ერიკის მთის ძირში მუშები ჰსთხრიდნენ მიწასა; მთასა იმას სიცილიელნი ხალხნი ეძახიან მონტე-დი ტრაპანნისა, იქ იპოვნეს ერთი გამოქვაბულ ადგილი და შიგ იჯდა მჯდარი ფალავანი, ხელში ეჭირა ისეთი დიდი ტყვიის ჯოხი, რომ წონაში გამოვიდა ოც და ჩვიდმეტი ფუთი და ნახევარი; ქართულის საწონით გამოდის ას სამოც და შვიდი ლიტრა ისტორიკოსი ავენ-ტინ, სარწმუნო კაცი თავის მეოთხე წიგნში, ჰსწერს: საფრანგეთის იმპერატორსა კარლოს ჰყვანდა თავის ჯარში ერთი გმირი, რომელ-საცა სახელად ერქვა ენოფერა და იყო ტიროლელი, კონსტანცის ტბე-ლი; ის ფალავნი ისე სცემდა ომში ხალხსა, როგორათაც ბალახს

ჭისცვლამდეს ვინმე. მამა იერონიმე ფრანგი, კაპუცინი და მქადაგებელი ლევანტიისა, მოგვითხრობს: ქვეყანასა მაკედონიისასა, მასლობელ თესალონიკე ქალაქისა სოფლის გალიეუბელის გალავანში, იპოვნეს ძვლები გმირისა, რომელნიცა იყვნენ სიგრძით ოც და თხუთმეტი არშინი და ერთი ჩარექი; თავის საფქველი ჰქონდა სულ ისევ სრული; იმ საფქველში ჩავიდა ექვსი საწყაო (ორი ნასისხი და ნახევარი) დიკა. და იყო წონით ორასი ათი გირვანქა პარიჟული; ქვეით ყბაზედ ეპა კბილი, სიგრძით სამი გოჯი და ნახევარი და წონაში გამოვიდა თხუთმეტი საფრანგეთის გირვანქა; ფეხის ცერი ჰქონდა სიგრძით სამ გოჯ ნახევარი, ხოლო მაჯიდამ იდაყვამდისინ სიგრძე ჰქონდა თოთხმეტი გოჯი. ესეც უნდა ვსთქვათ, რომ უზომო სიდიდე, გოლიათებზედ (გმირებზედ) აღწერილი, ეჭვსა ჰხდებს იმათ მეისტორიებსა; მაგრამ ჩვენ აქ უნდა მოვიმოწმოთ საღმრთო წერილი, რომელიცა მრავალსა ადგილსა შინა მოგვითხრობს ყოფასა გმირებისასა. საღმრთო წერილი, თუმცა არ გვიმტკიცებს წმიდათა მწერალთა პატივისცემისა გამო, მაგრამ შეიძლება გავსინჯოთ, ავხსნათ და საქმად პასუხი მივცეთ... საღმრთო წერილსა.—დაბადება იტყვის: გოლიათსა (გმირსა) მას ჰქონდა ჯასაგი (ტანი) გმირისა, ამასთანავე იტყვის, იგი იყო ტანით ექვსი წყრთა და სამი ჯვლის დადებათ. ეს ზომა რომ რუსულის ზომით ვიანგარიშოთ, ის გმირი სიმაღლით ყოფილა სამი არშინი და ორი მტკაველი. მრთელმა პარიჟმა ნახა და თითონ სრულიად მოსკოვმაცა, ათას შვიდას სამოცდა ხუთში, გმირი (ფალავანი) ბერნარდა ჟილლი, რომელიცა იყო სიმაღლით სამ არშინი ნახევარი. აი სწორე მაგალითნი ნამდვილის გმირებისა: მოსე წინასწარმეტყველი, დაბადების პირველის წიგნის მეხამე თავში, დაწერს. «კედორი ლაომერი მოვიდა სამის ამხანაგით და მოჰკლა რეფაიმ ასტაროტეს შინა. სუზიმ ქამეს შინა და ემიმ ველსა ზედა კირიათაიმისასა. აქ არ ახსენებს გმირთა, არა მიმხედველი მისი, რომელ სამეოც და ათნი თარგმანნი ბიბლიისანი (დაბადების წიგნისა) იტყვიან, ქვეყანასა ასტაროტისასა მოიკლნენო გმირნი. რაბები (ურიების მღვდლები,—მოძღვრები) ტყუილად ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ეს სიტყვები: რეფაიმ, სუზიმ, ემიმ და სხვანი ამის მსგავსნი ჰნიშნევდნენ გვარებსა გმირის ტანისასა. მეცნიერი და მალიან გამოცდილი ურიულ ენაზედა კაცი იაკობ ბოლდუკი გვიმტკიცებს, რომ

ზემოთ აღწერილნი სახელები ნიშნენი მხოლოდ პატივისცემითის სახელსაო. რომელსაცა წარღვნამდისინ და შემდეგაცა არქმევდნენ იმი-სთანა კაცებსა, რომელნიცა ერჩეოდნენ კარგის საქმეებითა და მეტი-სმეტის უცხოს ხასიათითა. ეს სიტყვები ნიშნენ: ძალიან ღონიერსა, ჩინებულსა, გმირულსა და სხუათა. იქნება ვინმე პასუხად მამცეს იმ მსტოვართა (დამზვერვართა) ლაპარაკი, რომელნიცა მოსე წინასწარმეტ-ყველმა გაგზავნა აღთქმის ქუეყანის გასაშინჯავად. იმ კაცებმა მოახ-სენეს მოსესა, ჩუენ ვნახეთო ხალხი ნეფთალიმელთა. შვილთა ენაკი-მელთა ჩამომავალნი, და იმათთან ჩუენ, ისრაელნი, ისე გამოვჩნდი-თო, როგორც კალია და ბუზიო. ამ ლაპარაკში ცხადად ჰსჩანს ური-ების ლაჩრობა და შიშარაობა, ასე რომ იმათ შიშისაგან დიდად ჰსჩვე-ნებიათ სხუა უცხო კაცები; ამისთვის რომ ისრაელნი (ურიები) იყვ-ნენ ტანით ხუთი ფუტი (ორი მტკაველი და ორი გოჯია) ანუ სამი არშინი. ხოლო ნეფთალიმელნი კაცნი სიმაღლით სამი არშინი და ნახევარი. ამ გვარი მეტი ლაპარაკი ჩვეულებათა აქვსთ იმ ხალხსა სხვაზედ ნაკლებ. ესე იგი არა ხშირად და თითქმის არაოდეს არ შე-შინებიათ, როდესაც ნახვენ რასმე საშიშსა, ჰსწორედ ვერ გამოსთქმენ სადაც ამ გვარი გმირის სახელები ჰსწერია დაბადებაში, სხვა რიგათ უნდა ითარგმნოს.

ჩღნბ წელსა (**1752**-ს) ქალაქსა ოსნაბრუკის პრუსიის ქვეყანასა შინა დაიბადა ერთი პატარა ბიჭი, რომელსაც ოთხის თჳსა შეიქმნა, დედის მუძუ ველარ ჰყოფნიდა. პურს ულბობდნენ რძეში და აჭმევდ-ნენ. ნახევარ წლისა რომ შეიქმნა სულ სრულად ამოუვიდა კბილები, როგორც ოც და ათის წლის კაცსა; ამასთან იყო მოუსვენარი, ცოტა ჭმისა და ავმუცლობა დაიწყო. თუმცა კარგამყოფი იყო, მაგრამ სია-რული არ შეეძლო. ორ წლიწადს უკან ჩუტყვავილა შეეყარა და ჭა-მას მოუმატა ამის გულისათჳს ურმით დაჰყვანდათ ის ბიჭი სოფლე-ბში სჭამდა რბილს საჭმელსა. ნამეტნავად თეთრს პურსა რძეში და-მბალსა. ოთხის წლისა, რომ შეიქმნა თავი ჰქონდა სიმრგვლივ ექვსი გოჯი და ნახევარი; პირის სახე სიგრძე სიგანით თითქმის მტკაველი და ერთი გოჯი; ცხვირი, თვალები, ტუჩები და კბილები ჰქონდა პა-ტარა, ყურები ცოტად დიდი; ლოყები ძალიან ზრქელი. ტანი კის-რიდამ გულის კოვზამდისინი ჰქონდა ორი მტკაველი და ორი გოჯი, ხოლო სიგრძე მუცლისა ერთი არშინი, მკლავები მაჯებამდისინ

ორი მტკაველი და ნახევარი და მაჯებიდამ თითებამდისინ თორმეტი გოჯი, თითო ბარკალი ჰქონდა სისქით ოც და ორი გოჯი; ხოლო სიგრძე კელ-მკლავ ფეხებისა სწორი ჰასაკისა მისისა (ტანის სიგრძე); თითონ ვერ დადიოდა, ურმით დაჰყვანდათ და როცა აყენება უნდოდა, ორი კაცი აყენებდა; სიმაღლით იყო ერთი არშინი და მეოთ-გოჯი, და წონით ხუთი ფუთი, ესე იგი ოცდა ორი ლიტრა და ნახევარი; ჭკუა ჰქონდა კაცისა, პირის სახე ბერი კაცისა და ტანი პატარა ბიჭისა. ძალიან მალე გაჯავრდებოდა და იტირებდა, თუ რომ გულის ნებას არ აუსრულებდენ. ის ბიჭი მოკვდა დაბადებიდგან მერვე წელიწადსა, სულის შეგუბებითა-სისუქნის გამო. ამგვარი საოცარი დიდი ტანი ბავშისა გმირებში გარიეთ, საკვირველისა მისისა ცნოერბისთვის.

ალ. გარსევანოვი.

ბე-სა ღვინობის თვესა ჩყ[illegible] წელსა.
ქალაქი გორი.

სახელმწიფო ბიბლიოთეკა

—